# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 28 აგვისტო 2008 №198 (3422) ფასი 50 თეთრი

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია კატეგორიულია: უეფა რომც არ დაგვეთანხმოს, ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები რუსეთში

# არ წავა!



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# დღეს ბოლო ქართული შანსია

უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

## აუსტრია vs ვიტ ჯორჯია



თემურ ქეცბაიაზე (მარცხნივ) და „ანორთოსისზე“ სიხარული ალალია

# შეუძლებელი შესაძლებელია!

როცა გვეტყვიან, ქართული კლუბის ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა შეუძლებელიაო, პასუხად თუნდაც ბელარუსული ბატე-ს ხსენება შეიძლება...

საერთოდ კი, საამსეზონო ჩემპიონთა ლიგაში ფრიად უცნაური კომპანია შეიკრიბა: ბატე, „კლუჟი“, „ანორთოსისი“...

დიახ, „ანორთოსისი“, კვიპროსული კლუბი, რომელსაც ქართველი თემურ ქეცბაია წვრთნის!

ახლა ასე შეგვიძლია ვთქვათ: მიხეილ ჯიშკარიანი პირველი ქართველია, ჩემპიონთა ლიგაში რომ ითამაშა; კახა კალაძე ლიგის მომგები ერთადერთი ქართველია, ხოლო თემურ ქეცბაია ლიგაში გუნდის გამყვანი პირველი ქართველი მწვრთნელია.

დღეს კი ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრილ 32 გუნდს ნიონში ჯგუფებად გაანაწილებენ.

# დღეს მარიამობაა, გილოცავთ!

## მომდევნო სარბიელი გამოვა შაბათს, 30 აგვისტოს

# უეფას თასი 2008-2009
## მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

ვენა. 28 აგვისტო. 21.30 საათი. ჰორ-სტადიონი

## ავსტრია — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ჯ. ატარდი, ჩ. მიკალეფი, ე. სპიტერი, პ. კარუანა (ყველა მალტა);
უეფას დელეგატი: მ. კაზანჩოღლუ (თურქეთი); დამკვირვებელი: ვ. კლარკი (ჩრდ. ირლანდია)

# შეგვაწუხეთ, თორემ ჩვენ შეგაწუხებთ
## დღეს ბოლო ქართული შანსია

**დღეს** საფეხბურთო საქართველოს ყურადღება ავსტრიისკენაა — ევროთასებს შემორჩენილი ერთადერთი ქართული გუნდი თბილისის „ვიტ ჯორჯია" ვენის „ავსტრიას" დაუპირისპირდება.

ჩვენს ქვეყანაში დატრიალებულმა ამბებმა უეფას უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიაღებინა.

წესით, ვიტელებს პირველი მატჩი თბილისში 14 აგვისტოს უნდა ეთამაშათ, მდგომარეობის უკიდურესად დაძაბვის შემდეგ კი გადაწყდა, რომ ეს შეხვედრა ნეიტრალურ მოედანზე, რიზეში გაიმართებოდა.

თურქეთში წასასვლელად გამზადებულმა „ვიტ ჯორჯიამ" შეიტყო, რომ რუსმა აგრესორებმა გორის დაბომბვაც დაიწყეს და, რა თქმა უნდა, დასავლეთისკენ ავტობუსით წასვლა შეუძლებელი გახდა.

ჩვენებმა უეფას არსებული მდგომარეობა აცნობეს და მათაც მიიღეს გადაწყვეილება, რომ 28 აგვისტოს ვენაში გაიმართოს ერთი მატჩი და მომდევნო ეტაპზე გამსვლელის ვინაობაც იქ გაირკვეს.

მიუხედავად, საქართველოში შექმნილი ურთულესი მდგომარეობისა, ნესტორ მუმლაძის გუნდს ვარჯიში არ შეუწყვეტია, საქართველოს ვიცე-ჩემპიონი ვენაში 26 აგვისტოს ჩავიდა და ოთხვარსკვლავიან სასტუმრო „არნიაში" დაბინავდა.

გუშინ ქართულმა გუნდმა „ჰო შტადიონზე", სადაც დღევანდელი მატჩი გაიმართება, 50 წუთი ივარჯიშა. წვრთნის დასრულების შემდეგ კი ვიტელთა მთავარ მწვრთნელ ნესტორ მუმლაძეს დავურეკეთ: „ყველაფერი ნორმალურადაა. ვენაში გუშინაც და დღესაც ნაყოფიერი ვარჯიშები ჩავატარეთ. გუნდში საბრძოლო განწყობა, კარგია, რომ ტრავმა არავის აქვს. აქაური ჟურნალისტები ჩვენთან ერთხელაც არ გამოჩენილან, ეტყობა, სერიოზულად არ გვიყურებენ და ამის გამო უნდა დავსაჯოთ. ხვალ დილით ცხრა საათზე ნახევარსაათიან მოთელვა გვექნება, საღამოს კი მატჩია. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ „ვიტ ჯორჯია" ყველაფერს გააკეთებს შემდეგ ეტაპზე გასასვლელად, ძალიან გვინდა, ჩვენს ქვეყანას ასეთ რთულ დროს სიხარული მივანიჭოთ".

ისიც ვთქვათ, რომ მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს ავსტრიული ORF-1 გადმოსცემს.

**ნუკრი ლოლაძე**


ბუბაშ დოლიძელაშვილის ფოტო

# ან სხვაგან, ან არსად!
## საქართველო რუსეთში არ ჩავა

**უეფას ოფიციალურ ვებგვერდზე კარგა ხანია, წერია, რომ 5 სექტემბერს რუსეთ — საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებები მოსკოვის „ედუარდ სტრელცოვზე" ითამაშებენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მატჩი აუცილებლად იქ გაიმართება. შესაძლოა, უეფამ დღეს-ხვალ რუსეთის საფეხბურთო კავშირს უბრძანოს, მატჩი ნეიტრალურ სტადიონზე ჩაატაროს — ამის იმედი აქვს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ გოგი ქავთარაძეს...**

— ჩვენ გაგზავნილი გვაქვს წერილი უეფაში, რომ ამ მატჩის რუსეთის ტერიტორიაზე ჩატარება მიზანშეუწონელია. დღეს კიდევ ერთი წერილი ვაფრინეთ უეფაში და ვფიქრობ, უახლოეს დღეებში დადებით პასუხს გვეტყვიან, ანუ მატჩს ნეიტრალურ ქვეყანაში გადაიტანენ.

**— რუსულ ტელეარხ „ნტვ+-ფუტბოლზე" გამოაცხადეს, საქართველოს ნაკრები მოსკოვში სათამაშოდ თუ არ ჩავა, უეფა ქართულ მხარეს სოლიდურ ჯარიმას გამოუწერსო...**

— სიცრუეა. უეფას ასეთი განაჩენი არ გამოუტანია.

**— უეფაში მეორე წერილის გაგზავნა რატომ გახდა საჭირო?**

— იქ დასაბუთებული გვაქვს რუსეთ-საქართველოს არაკეთილმეზობლური დამოკიდებულება. ის ფაქტი, რომ რუსეთმა აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა. ის, რომ პოლიტიკა და ფეხბურთი სხვადასხვაა, არგუმენტად აღარ გამოადგება უეფას. ეს უკვე პოლიტიკაც აღარ არის, რასაც რუსეთი სჩადის და უეფამ ეს უნდა გაითვალისწინოს.

**— თუ რუსეთს შინ თამაშის ნებას მაინც დართავენ, საქართველოს ნაკრები იქ არ ჩავა — ეს გადაწყვეტილია?**

— დიახ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რას ვეუბნებით ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელების მშობლებს?! რით დავაწყნარებთ?!

**ილია ნანობაშვილი**




# ამერის ბოლო და ნაკრების მეორე

**გუშინ** გლდანში ტესტ-მატჩი გაიმართა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებსა და თბილისის „ამერს" შორის. საქართველოს თასის ორგზის მფლობელმა შინაურ მოედანზე 1:0 იმარჯვა. მატჩის ერთადერთი გოლი 52-ე წუთზე ირაკლი ხუციძემ გაიტანა, რომელიც, სხვათა შორის, 19-წლამდელთა ნაკრების წევრია.

ზაურ სვანაძის შეგირდებისთვის ბოლო ოთხ დღეში ეს მეორე მარცხი იყო — იქამდე „გაგრასთან" 1:2 წააგეს. „ამერისთვის" კი სეზონის განახლებამდე ეს ბოლო მატჩი გახლდათ. თბილისელებს 31 აგვისტოს საქართველოს თასის მერვედფინალში ლანჩხუთის „გურიასთან" ელით შეხვედრა.

*ამერი: გვენცაძე, გ. ჯელაძე, გვაძაბია, ხატიაშვილი, ადეიშვილი, ცხოვრებაშვილი, ბოჯგუა, ხელაძე, კუჭუხიძე, გრძელიძე, ნ. ქებაძე.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ლ. ნადირაშვილი, ხუციძე, სანიკიძე, კაკაბაძე, ბენდელიანი, ტიკურიშვილი, ჯინიკაშვილი, ელბაქიძე, ნოზაძე, ჩიმაკაძე, გოდერძიშვილი, ლაფერაშვილი, რ. წინამძღვრიშვილი.*

*19-წლამდელები: მაკარიძე, მინდორაშვილი, ტეტუნაშვილი, კაჭკაჭიშვილი, სარაჯიშვილი, ნ. ჯიშკარიანი, თარხნიშვილი, შონია, ბერიძე, როსტიაშვილი, ქანთარია.*

*შეცვლაზე შევიდნენ: კაკუბავა, იოსელიანი, სალარიძე, ხოკერაშვილი, ჯალიაშვილი.*

**ნუკრი ლოლაძე**

# დვალ-დუბლიანი

**მოლდოვურმა** „დაჩიამ" შინ 4:1 სძლია „ტილიგულს" და ისე როგორ იქნებოდა, ჯაბა დვალი უგოლოდ დარჩენილიყო. 22 წლის ქართველმა ფორვარდმა პირველი ტაიმის ბოლოს ანგარიში გახსნა, მეორე ნახევრის დასაწყისში კი მეორეც შეაგდო და დუბლი მიითვალა.

დვალის გარდა ამ შეხვედრაში სხვა ქართველებმა, ლევან კორღალიძემ და სერგი ორბელაძემაც ითამაშეს.




**ილია ნანობაშვილი**

# ალადაშვილ-იმედაშვილი ისევ დინამოში არიან

**კახა ალადაშვილი** და დავით იმედაშვილი კვლავ კიევის „დინამო 2"-ში არიან და ზამთრამდე იქ დარჩებიან. მართალია, ორივე ჩვენიანი ცდილობდა სხვა უკრაინულ გუნდში მოწყობას, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

ალადაშვილმა გასული სეზონის მეორე წრე „ხარკოვში" გაატარა, იმედაშვილი კი კიევშივე იყო. ერთი ცხადია: არც მათ და არც კიევის „დინამოს" მესამე ქართველს, ოთარ მარცვალაძეს ძირითად გუნდში დამკვიდრების თითქმის არანაირი შანსი არ აქვთ. ისინი საჩემპიონთალიგო განაცხადშიც ვერ მოხვდნენ.

იმედაშვილმაც და ალადაშვილმაც „დესნასთან" 1:1 დასრულებულ შეხვედრაში ითამაშეს.

**ილია ნანობაშვილი**

# ავსტრიამ იცის, რა არის აგრესია

## მირზა ბჟალავა: თუ რუსეთთან მატჩი ჩატარდება, მოვიგებთ!

ლუშტენაუს „აუსტრიას" ნახევარმცველი მირზა ბჟალავა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია და საწყენია, რომ რუსეთთან 5 სექტემბრის მატჩს გამოტოვებს — თუმც ჯერ არც ვიცით, გაიმართება თუ არა ეს შეხვედრა. სხვა ლეგიონერების მსგავსად, ბჟალავაც უცხოეთში იყო რუსეთ-საქართველოს ომისას. ავსტრია პატარა ქვეყანაა, აქ იციან, რას ნიშნავს აგრესია და პრესა-ტელევიზია ქართველების მხარეს იჭერდაო — გვითხრა მირზამ



**— ამ მოვლენების გამო ლუშტენაუში, ალბათ, ყურადღების ცენტრში იყავი...**

— დიახ. იმ დღეებში სიცხე მქონდა და არც ვვარჯიშობდი. იყო დღეები, როცა ვარჯიში შემეძლო, მაგრამ მწვრთნელმა დასვენების საშუალება მომცა, ვიცი, რომ ფსიქოლოგიურად გიჭირსო. კლუბის პრეზიდენტმა კი პრესკონფერენცია მოაწყო, რომელზეც ჟურნალისტები გვეკითხებოდნენ ამ ომის თაობაზე. ვერაფერს ვეუბნებოდი ისეთს, რაც მათ არ იცოდნენ — არა მხოლოდ ავსტრიამ, მგონი, მთელმა მსოფლიომ გაიგო რუსების აგრესიაზე. კლუბის პრეზიდენტმა ისიც მითხრა, თუ გინდა, ოჯახს ჩამოგაყვანინებო. თუ კიდევ გამწვავდებოდა ვითარება, ასეც მოვიქცეოდი...

**— პრესა-ტელევიზია ქართველებს უჭერდა მხარს?**

— უკლებლივ ყველა ჩვენ მხარეს იყო. დაბომბილ გორს აჩვენებდნენ ხოლმე და ამბობდნენ, რუსეთი შეიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე და ამის შემდეგ რაღაზე შეიძლება ლაპარაკი, თუ არა რუსეთის აგრესიაზეო.

**— კლუბზე რას იტყვი, რატომ ჩავარდა „აუსტრია" აუტსაიდერებში, როცა ბოლო ორი სეზონი ბუნდესლიგაში გადასვლისთვის იბრძოდა?**

— ცუდ მდგომარეობაში ვართ, ექვს ტურში მოგება არ გვაქვს. ახლა დერბი გველის და თუ კიდევ წავაგებთ, ალბათ, მწვრთნელს მოხსნიან. არადა, ცუდი გუნდი თითქოს არ გვყავს, ამხანაგურები კარგად ვითამაშეთ, მაგრამ დაიწყო სეზონი და ყველაფერი აირია. წინა ტურში სტუმრად „გრატკორნს" ვუგებდით და ბოლო წამებზე გაგვითანაბრეს, ბედიც არ გვწყალობს...

**— შენ ხშირად არ გათამაშებენ. მიზეზი?**

— თავიდან ვთამაშობდი, მერე სიცხეები მქონდა, თან მწვრთნელთან მომივიდა მცირე კონფლიქტი და სკამზე დამსვა. ბოლო ტურში კი ისევ მათამაშა და, ალბათ, მომდევნო მატჩშიც დამაყენებს.

**— კონფლიქტი რაზე მოგივიდა?**

— ერთ-ერთ მატჩში ჯერ მარცხენა ნახევარმცველად დამაყენა, მეორე ტაიმში კი მარცხენა მცველად. თამაშის მერე გამაკრიტიკა, რაზეც ვუპასუხე, რომ ცენტრალური ნახევარმცველი ვარ და ეს პოზიციები ჩემთვის უცხო იყო-მეთქი.

**— და ბოლოს ისევ შენს პოზიციაზე გათამაშა?**

— დიახ.

**— 5 სექტემბერს რუსეთ — საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩია და შენც გამოძახებული ხარ. მგონი, ამ თამაშის მნიშვნელობაზე ლაპარაკიც ზედმეტია...**

— რა თქმა უნდა, საოცარი მოტივაცია ექნებათ ჩვენებს და საწყენია, რომ დისკვალიფიკაციის გამო ვერ ვითამაშებ. 10 სექტემბერს, პოლონეთთან შემეძლება თამაში. ჩემი აზრით, რუსეთი არაა დაუმარცხებელი. თბილისში ხომ უშანსოდ დავტოვეთ და ვფიქრობ, თუ მატჩი ჩატარდა, მოსკოვშიც მოვიგებთ.

**ილია ნანობაშვილი**

# საეჭვო რუსეთი და უეჭველი პოლონეთი

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა პეტარ სეგრტმა მოახლოებული ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის საჭირო შემადგენლობა გამოაცხადა. 5 სექტემბერს ქართველებს რუს თანატოლებთან მოუწევთ გაჯიბრება. კალენდრის მიხედვით, შეხვედრა მოსკოვში უნდა გაიმართოს, მაგრამ ცნობილი მოვლენების გამო, ჩვენები მოსკოვში ჩასვლას უარობენ, ნეიტრალურ მოედანზე ითხოვენ მატჩის გადატანას და ეს უკვე უეფას აცნობეს.

გუშინ რუსულმა ტელეარხმა „ნტვ+ფეხბურთმა" ცნობა გაავრცელა, რომ უეფამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შეუთვალა, მატჩი მოსკოვში უნდა ჩატარდეს, თქვენი თხოვნა არ არის დაკმაყოფილებული და თუ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები რუსეთის დედაქალაქში არ ჩავა, 0:3 წაგება ჩაეთვლება და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას სანქციები დაეკისრებაო.

რუსეთის მერე კი, პოლონეთთან მატჩი, 10 სექტემბერს თბილისში უნდა ჩატარდეს.

რამდენიმე სიტყვა გამოძახებულთა სიაზეც: რამდენიმე ფეხბურთელი ტრავმას იშუშებს და რამდენად მოხერხდება მათი გამოყენება, ჯერ ძნელი სათქმელია. გიორგი მერებაშვილმა მენისკის ოპერაცია გაიკეთა და ახლახან დაიწყო მსუბუქად ვარჯიში; ტრავმირებულია ამერელი დავით მჭედლიშვილი; დიდი ხანი არ არის, რაც „ზესტაფონს" დაუბრუნდა გუნდიდან მოკვეთილი ალექსი ბენაშვილი; შოთა გრიგალაშვილის ბედი კი ჯერაც საკითხავია...

სეგრტმა 19-წლამდელთა ნაკრების 4 წევრსაც უხმო: მეკარე ამირან კოტრიკაძეს, ნახევარმცველებს — თემურ შონიას, ირაკლი კვეკვესკირსა და თორნიკე თარხნიშვილს.

ახალგაზრდულში დებიუტი ექნებათ ლისაბონის „ბენფიკას" ახალგაზრდული გუნდის მცველ ბაქარ მირცხულავას და იტალიური „ემპოლის" ასაკობრივი გუნდის თავდამსხმელ ირაკლი შეყილაძესაც.

***მეკარეები:*** *რევაზ თევდორაძე („გაგრა"), მიხეილ ალავიძე („სტანდარდი", აზერბაიჯანი), ამირან კოტრიკაძე („გაგრა").*

***მცველები:*** *ამირან სანაია („ლე მანი", საფრანგეთი), გიორგი ელბაქიძე („ამერი"), გიორგი ფოფხაძე („ვიბორგი", დანია), ზურაბ გვაძაბია („ამერი"), გურამ კაშია („დინამო"), ბაქარ მირცხულავა („ბენფიკა", პორტუგალია), დავით მჭედლიშვილი („ამერი"), გულვერდ თომაშვილი („დინამო"), ალექსი ბენაშვილი („ზესტაფონი"), გიორგი ნავალოვსკი („ანჟი", რუსეთი);*

***ნახევარმცველები:*** *გიორგი ხიდეშელი („ზესტაფონი"), მურთაზ დაუშვილი („ზესტაფონი"), ნიკოლოზ ფირცხალავა („დინამო"), მირზა ბჟალავა („ლუშტენაუ", ავსტრია), თორნიკე თარხნიშვილი („სპარტაკი"), შოთა გრიგალაშვილი („დინამო"), გიორგი მერებაშვილი („დინამო"), თემურ შონია (უკლუბოდ), დავით თარგამაძე („ფრაიბურგი", გერმანია), სანდრო კობახიძე („დნიპრო", უკრაინა), ირაკლი კვეკვესკირი (უკლუბოდ), ირაკლი ჩირიკაშვილი („ლოკომოტივი"), დავით დევდარიანი („ოლიმპი"), ზაქარია ბეგლარიშვილი („ოლიმპი 2");*

***თავდამსხმელები:*** *ვახტანგ ფანცხავა („ლე მანი", საფრანგეთი), მათე ვაწაძე („დინამო"), გიორგი ივანიშვილი („ციურიხი", შვეიცარია), ბესიკ ჩიმაკაძე („ამერი"), ირაკლი შეყილაძე („ემპოლი", იტალია).*

**ნუკრი ლოლაძე**



# ამირან მუჯირმა ასაკი სლოვენიაში დაკარგა

**აზერბაიჯანის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ბაკიმ" „ინტერთან" 0:0 ითამაშა და ნამატჩევს აზერბაიჯანელი ჟურნალისტები „ბაკის" ერთ-ერთ ლიდერ ამირან მუჯირს გაესაუბრნენ...**

— კარგი თამაში ვაჩვენეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, გოლის გატანა ვერ მოვახერხეთ.

**— თქვენ არაერთხელ დაარტყით კარში, ორჯერ ბურთი ძელსაც მოხვდა... საერთოდ, რას იტყვით თქვენს თამაშზე?**

— ამ მატჩისთვის სერიოზულად მოვემზადე. ვიცოდი, რომ ჩემზე ბევრი რამ იქნებოდა დამოკიდებული. პერესის ტრავმის შემდეგ მწვრთნელმა პოზიცია შემიცვალა, მის ადგილზე გადამიყვანა, თავდამსხმელების უკან. საერთოდაც, ეს ჩემი პოზიციაა, მაგრამ მწვრთნელი მარცხენა ფრთაზე მათამაშებს, თუმცა მან უკეთ იცის, სად დამაყენოს.

**— პირველი ტაიმის შუაში ფერნანდო პერესის დაკარგვამ „ბაკის" თამაშზე იმოქმედა?**

— რა თქმა უნდა, ძალიან ცუდი იყო, რომ ასეთი მოთამაშე დავკარგეთ. მას რომ გაეგრძელებინა თამაში, ვფიქრობ, ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა.

**— თუმც არგენტინელის გარეშეც „ბაკის" თამაშის საადავები არ დაუკარგავს...**

— „ინტერს" ყველა კომპონენტში ვაჯობეთ — შეტევაშიც და დაცვაშიც. ჩემი აზრით, „ბაკიმ" ამ დროისთვის საუკეთესო მატჩი გამართა...

**— თვლით, რომ შედეგი არ ასახავს რეალობას?**

— დიახ. მატჩის შემდეგ ყველანი იმედგაცრუებულნი ვიყავით, რომ ვერ შევძელით სამი ქულის მოპოვება. მოგების შემთხვევაში რაღაც დონეზე ჩემპიონობისკენ გზა გაგვეხსნებოდა, თუმცა ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, რადგან ბრძოლას ვაგრძელებთ.

**— შეუძლია „ბაკის" ჩემპიონობა?**

— პროგნოზს ვერ გავაკეთებ, თუმც, გუნდის სულისკვეთებიდან გამომდინარე, პირველობა შეიძლება. ყოველ შემთხვევაში, „ბაკი" ოქროს მედლების მოპოვების ერთ-ერთი კანდიდატია.

**— კონკურენტებად ვის მიიჩნევთ?**

— მე მხოლოდ ჩემი გუნდი მაინტერესებს. არ მინდა, მეტოქეებზე რამე ვთქვა. ჩვენი ამოცანა პირველობაა, უკიდურეს შემთხვევაში, ევროთასის საგზურის მოპოვება.

**— „ბაკიში" სხვადასხვა ეროვნების მოთამაშეები ირიცხებიან — მაკედონიელები, ხორვატები, სერბები, ნიგერიელები, სენეგალელები, ბრაზილიელები... თქვენთვის რთული არ არის მათთან და ადგილობრივ ფეხბურთელებთან საერთო ენის გამონახვა?**

— ეს საკითხი თანდათან გვარდება. ვფიქრობ, უახლოეს მომავალში ყველაფერი უკეთესობისკენ წავა. მწვრთნელმა გვითხრა, რომ თუ მოედანზე ერთსულოვანნი ვიქნებით, ჩვენი გამჩერებელი არავინაა. სრული ურთიერთგაგება ცხოვრებას გაგვიადვილებს და უკეთესადაც ავთამაშდებით.

**— 30 წელს გადააბიჯეთ. როგორ ფიქრობთ, შეძლებთ, მთელი სეზონი ისე ჩაატაროთ, როგორც „ინტერთან" ითამაშეთ?**

— საინტერესო კითხვაა... ჩვენ რამდენიმე ისეთი კარგი შეკრება გავიარეთ სლოვენიაში, რომ ასაკი უკვე დამავიწყდა. მთავარია, ტრავმა არ მივიღო.

# იტალია — საქართველოს ბილეთი 60 ევროც კი ღირს

**10 სექტემბერს** უდინეში იტალია — საქართველოს მატჩის ბილეთები ათიდან სამოც ევრომდე ღირება. 60 ევრო „ფრიულის" სტადიონის ცენტრალურ ტრიბუნაზე მოხვედრის საფასურია...

ცნობისთვის, „ფრიული" 42 000 გულშემატკივარს იტევს და ვარაუდობენ, რომ 10 სექტემბერს ბოლომდე შეივსება. ჯერ ერთი, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველი მატჩია და მეორეც „სკუადრაში" „უდინეზეს" ფეხბურთელებიც თამაშობენ: ანტონიო დი ნატალე და ფაბიო კვალიარელა.

**ილია ნანობაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოლანდიაშიც ფანჯარა პირველში დაიხურება

**ესპანეთს,** იტალიასა და ინგლისს ჰოლანდიაც შეუერთდა. ამ ზაფხულს სატრანსფერო ფანჯარა ნიდერლანდებშიც 31 აგვისტოს ნაცვლად, 1 სექტემბერს დაიხურება. მიზეზად ის გარემოება სახელდება, რომ 31 აგვისტო კვირადღეა. სამაგიეროდ, გერმანიასა და საფრანგეთში სატრანსფერო ციებ-ცხელება ძველებურად 31 აგვისტოს დასრულდება.

## ნერი კასტილიო ანდალუზიას უახლოვდება

**„მანჩესტერ სიტის“** თავდამსხმელის ნერი კასტილიოს აგენტმა ხუან კარლოს პადილიამ განაცხადა, რომ ფეხბურთელი სევილიის „ბეტისში“ გადასვლასთან ახლოსაა.

„ეს გადაწყვეტილება სპორტული მიზეზებით უნდა იყოს გამოწვეული და არა ფულის გამო. უპირველესად, იმაზე უნდა იფიქრო, თავს უკეთესად სად იგრძნობ. თუ ნერი „ბეტისში“ გადაბარგდა, იქ აუცილებლად იქცევა მნიშვნელოვან ფიგურად“ — ბრძანა მექსიკელი ფეხბურთელის აგენტმა.

## ბანეგამ ატლეტიკო აირჩია

**ახალგაზრდა** არგენტინელმა ნახევარმცველმა ევერ ბანეგამ იჯარის წესით, „ვალენსიადან“ მადრიდის „ატლეტიკოში“ ერთი წლით გადავიდა. ფეხბურთელმა მადრიდულ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულების თანახმად, ბანეგას პრიმერადივიზიონში „ღამურების“ წინააღმდეგ თამაშის უფლება არ აქვს, სამაგიეროდ, „ატლეტიკოს“ არენდის ვადის ამოწურვის შემდეგ ფეხბურთელის 11 მილიონ ევროდ სრულიად გამოსყიდვა შეეძლება. ბანეგათი გენუის „სამპდორიაც“ იყო დაინტერესებული.

## რეალმა კასორლა ხელიდან გაუშვა

**ესპანური** პრესის ცნობით, ქვეყნის ნაკრების ფეხბურთელმა სანტი კასორლამ „ვილიარეალთან“ ხელშეკრულება გაახანგრძლივა. ფეხბურთელის აგენტის ხულიო ლიორენტეს თქმით, კონტრაქტის გაფორმებამდე ის მადრიდის „რეალის“ სპორტულ დირექტორს პრედგარ მიატოვიჩს დაუკავშირდა, მაგრამ „სამეფო კლუბმა“ სათანადო აქტიურობა არ გამოიჩინა და კასორლა საბოლოოდ „ყვითლების“ შემადგენლობაში დარჩა.

## როვერსმა გრელა შეიძინა

**ავსტრალიელი** ვინჩენცო გრელა იტალიური „ტორინოდან“ ინგლისურ „ბლექბერნ როვერსში“ გადავიდა. „როვერსმა“ 28 წლის ფეხბურთელში 4 მილიონი გირვანქა გადაიხადა, კონტრაქტი კი ოთხ წელზეა გათვლილი.

## ბრიტუ ღამურა გახდა

**ესპანურმა** „ვალენსიამ“ გოლკიპერი რენან ბრიტუ ოფიციალურად წარადგინა. ბრაზილიელი გოლკიპერი ადრე „ინტერნასიონალის“ რიგებში გამოდიოდა, „ღამურებთან“ კი ოთხწლიანი ხელშეკრულება დადო. რენანმა ამ ზაფხულს ოლიმპიურ თამაშებზე ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა.

## რომანი გადაწყდა

**რომან პავლიუჩენკოს** ლონდონის „ტოტენჰემში“ გადასვლა ფაქტობრივად გადაწყვეტილია. ინგლისურ და რუსულ მხარეებს შორის შეთანხმება თითქმის მიღწეულია და კონტრაქტი, სავარაუდოდ, ამ კვირის ბოლოს გაფორმდება. უკვე ცნობილია, რომ ტრანსფერის განხორციელების შემთხვევაში პავლიუჩენკო ყველაზე ძვირადღირებული რუსი ფეხბურთელი იქნება, რომელიც ოდესმე რუსული პრემიერლიგიდან უცხოურ კლუბში გადასულა. გავრცელებული ინფორმაციით, „სპარტაკის“ თავდამსხმელის ტრანსფერის ღირებულება 14,5-დან 18 მილიონ ევრომდეა. ამით პავლიუჩენკო დმიტრი ალენიჩევის რეკორდს დაამხობს, რომელიც 1998 წელს იტალიურმა „რომამ“ მოსკოვის „სპარტაკიდან“ დაახლოებით 7 მილიონ ევროდ შეიძინა.

## სისინიომ მოიბოდიშა

**იტალიური** საინფორმაციო საშუალებები იტყობინებიან, რომ „რომას“ მცველმა სისინიომ რომაელთა დამრიგებელ ლუჩანო სპალეტის თავის გამოხდომის გამო მოუბოდიშა. „ჯალოროსის“ თავკაცმა ბრაზილიელი კვირას იტალიის სუპერთასის მატჩში ძირითადი შემადგენლობის მიღმა დატოვა, მიზეზად კი ვარჯიშის დროს ფეხბურთელის აგრესიული ქცევა დაასახელა. საპასუხოდ სისინიომ სპალეტის გადაწყვეტილების წინააღმდეგ გაილაშქრა და საბოლოო ჯამში მატჩის განაცხადშიც კი ვერ მოხვდა. ამჟამად სიტუაცია ჩაწყნარდა. დამრიგებელი და შეგირდი ერთმანეთს ესაუბრნენ და შერიგება გადაწყვიტეს.

**არჩილ კობახიძე**

# წითელი, თეთრი, ყვითელი და შავი



**სეიდუ კეიტა ბავშვობაში კუმანის, რომარიოსა და სტოიჩკოვის „ბარსელონას“ ქომაგობდა და ოდესმე ამ გუნდში თამაშზე ოცნებობდა. მისი ოცნება ახდა — მალელი ნახევარმცველი „ბარსას“ მაისურაში გამოეწყო. კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში კეიტა მწვრთნელზე, თანაგუნდელებსა და „ბარსელონაში“ აფრიკელების სიმრავლეზე საუბრობს**

**— „ბარსელონას“ ნახევარდაცვა მსოფლიოში საუკეთესოა?**

— დიახ. შუახაზში ძალიან ძლიერი ფეხბურთელები გვყავს. თითოეული მოთამაშე უმაღლესი კლასისაა. ნახევარდაცვა იმიტომაა ძლიერი, რომ დაცვაც და შეტევაც ექსტრაორდინალურია.

**— თავდასხმაში მესი, ეტოო და ანრი არიან. ბოლო ორის გვარი ახალ ამბებში რაღაც საკამათო მომენტების გამო ახსენეს...**

— ეტოო და ანრი „ბარსელონასთვის“ ისევე საჭირო ფეხბურთელები არიან, როგორც ყველა დანარჩენი. წარსული წარსულია და ძველ ამბებზე ლაპარაკი არ მსურს, ჩემთვის მთავარია, რა ხდება ახლა.

**— სეიდუ კეიტასთვის „ბარსელონა“ ახდენილი ოცნებაა?**

— ბავშვობაში „ბარსელონასა“ და „მარსელს“ ვქომაგობდი. რომარიოს, კუმანისა და სტოიკოვიჩის ფანი ვიყავი. ვგრძნობდი, რომ ოდესღაც მეც ამ გუნდში მოვხვდებოდი. ჯერ კიდევ „ლანსში“ თამაშისას, ჩიკი ბეგირისტაინი ჩემს აგენტს დაუკავშირდა და ტრანსფერზე ესაუბრა. მაშინ „სევილიაში“ გადავედი, მაგრამ ბოლო მიზანი მაინც „ბარსა“ იყო. შარშან დეკემბერში ბეგირისტაინმა კვლავ მიაკითხა ჩემს აგენტს და აგერ, მეც აქ ვარ. „რეალსაც“ და „იუვენტუსსაც“ ვუნდოდი, თუმცა ერთადერთი გზა „ბარსასკენ“, საუკეთესო კლუბისკენ მიდიოდა.

**— სევილიაში“ შარშან ზაფხულს გადახვედით. ყველა, ვინც „სევილიას“ მატჩზე კანუტეს, ლუიშ ფაბიანუს, ხესუს ნავასის და დიეგო კაპელის სანახავად დადიოდა, კეიტას თამაშით მოიხიბლა...**

— მართლა? არ ვიცოდი. ყოველ მატჩში თავდაუზოგავად ვიბრძოდი გუნდის გამარჯვებისთვის.

**— თქვენი ნიჭის თავისებურებები?**

— არ ვიცი. მუდამ ბოლომდე ვიხარჯები, რადგან მხოლოდ ასე მიიღწევა სასურველი შედეგი.

**— სამუელ ეტოო, იაია ტურე და ახლა თქვენ — კამერუნელი, კოტდივუარელი და მალელი ფეხბურთელები „ბარსელონაში“ ხართ. კლუბში აფრიკელები მომრავლდნენ, „რეალი“ კი ჰოლანდიელებს ყიდულობს.**

— კლუბები ფეხბურთელებს მწვრთნელების მოთხოვნით იძენენ. აქ ქვეყანა და მოთამაშის წარმომავლობა არაფერშუაშია. მნიშვნელობა არ აქვს, წითელი ხარ, თეთრი, ყვითელი თუ შავი. ფეხბურთი უნივერსალურია. ბევრ ბობოლა გუნდში რომ ბევრი აფრიკელია, ეს მხოლოდ დამთხვევაა. ჩვენ ბრძოლას და გამარჯვებას მივეჩვიეთ.

**— რას ნიშნავს თქვენთვის აფრიკელობა?**

— მინდა, მალის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშოს. ეგებ, 2010-ისთვის მოვახერხოთ. კარგი იქნება, აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულს თუ მოვიგებ, ოღონდ, უპირველესყოვლისა — „ბარსელონა“. აქ ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი. მატჩიდან მატჩამდე უნდა მოვუმატო.

**— აქაურობა მოგწონთ?**

— გულთბილად მიმიღეს. ანრის, ეტოოსა და ტურეს მანამდეც ვიცნობდი და ყველა საუცხოოდ დამხვდა. ხან ფრანგულად ვსაუბრობ, ხან ესპანურად, ანდალუზიურ დიალექტზე. ახლა კატალონიური უნდა ვისწავლო, თუმც ერთმანეთს უსიტყვოდაც ვუგებთ, რაკი ყველას ერთი რამ გვსურს — გამარჯვება. მატჩები, ჯილდოები, ჩემპიონთა ლიგა, პრიმერადივიზიონი. ესაა ჩვენი საერთო ენა.

**— ხოსეპ გვარდიოლაზე რას ფიქრობთ?**

— „ბარსელონასთვის“ იდეალურია. მან ზუსტად იცის, რა უნდა ან არ უნდა ფეხბურთელს და რა მოსწონს ან არ მოსწონს. გამარჯვებული მწვრთნელია და ჩვენზე მეტად სწყურია მოგება. თავს არ ზოგავს და გუნდიც თავდაუზოგავობით პასუხობს.

**— ორი უტიტულო სეზონის შემდეგ „ბარსელონა“ რას უმიზნებს?**

— როცა თანმიმდევრულად და სერიოზულად შრომობ, ყველაფერია შესაძლებელი. ჩვენი მიზანია, გავხდეთ გამარჯვებული გუნდი. ჩემპიონთა თასის მოგება გვსურს, „ბარსელონა“ ხომ განსაკუთრებულია.

**— რა სჭირდება „ბარსას“ საიმისოდ, რომ კვლავ ალმავლობის გზას დაადგეს?**

— აქ ყველა საუკეთესო ფეხბურთელია თავშეყრილი. ამას დავუმატოთ შრომაც. ვიმეორებ, რომ მთელი გუნდი ერთი მიზნისკენ მიდის და ეს საკმაოდ ლოგიკურია.

**— „სევილიასთან“ კავშირი გაქვთ?**

— სპორტულ დირექტორს და ფრედერიკ კანუტეს ვესაუბრები ხოლმე. სხვა სევილიელი ნაცნობმეგობრებიც ახალ ამბებს მიყვებიან. ქალაქიც და გუნდში გატარებული დროც ტკბილად მაგონდება. ჩემი შვილი სევილიაშია დაბადებული. ოჯახი იქ თავს კარგად გრძნობდა, მაგრამ ახლა ბარსელონა მოგვწონს.

**— ყოფილ თანაგუნდელს დიეგო კაპელს ხომ არ ხვდებით, რომლის ყიდვაც „ბარსას“ სურს?**

— ამაზე საუბარი არ მინდა, რადგან ეს ადმინისტრაციის საქმეა, თუმც კაპელს „ბარსელონაში“ არ გაუჭირდება.

**— „ბარსელონაში“ თამაშით ამაყობთ?**

— „ბარსას“ ყურადღება იმიტომ მივიქციე, რომ სწორედ ის თვისებები მაქვს, რომლებიც ამ გუნდის სათამაშო ყაიდას სჭირდება. ცენტრში ვარ, მაგრამ დაცვაც შემიძლია და შეტევაც.

**— რატომაა ამდენი აფრიკელი ნახევარდაცვის ცენტრში?**

— ცენტრშიცაა, თავდასხმაშიც, დაცვაშიც და კარშიც. ყველაფერი მწვრთნელის მოთხოვნაზეა დამოკიდებული.

**— ტურესა და აბიდალივით მუსულმანი ხართ...**

— დიახ და ყველა წესს ვიცავ.

**— ჟოან ლაპორტასთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— ის ჩემი პრეზიდენტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა ლიგა 2008–2009
### მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

# ლიგის პირველი შენამატი
## ფავორიტებმა ამოცანა დაუძაბავად შეასრულეს


სამუელ ეტოო და „ბარსელონა“ ლიგის ჯგუფში წაგებითაც შევიდნენ

**პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 1:0 სპარტა (ჩეხეთი) (2:1)**
1:0 სოუზა (90)

**ვისლა (პოლონეთი) 1:0 ბარსელონა (ესპანეთი) (0:4)**
1:0 კლებერი (52)

**არტმედია (სლოვაკეთი) 1:1 იუვენტუსი (იტალია) (0:4)**
1:0 ფოლდვეკი (13), 1:1 ამაური (25)

**ჩემპიონთა** ლიგამ პირველი შევსება მიიღო: საკვალიფიკაციო ტურნირიდან ჯგუფურ ეტაპზე „ბარსელონა“, „იუვენტუსი“ და „პანათინაიკოსი“ გავიდნენ. სამივე გუნდმა ამოცანა ძალების ზედმეტი დაძაბვის გარეშე შეასრულა და ჯგუფური ტურნირის კენჭისყრას ელის, რომელიც დღეს მონაკოში თბილისის დროით 20 საათზე დაიწყება.

„იუვენტუსის“ მეტოქე 2005 წლის ფურორის მომხდენი სლოვაკური „არტმედია“ გახლდათ, რომელსაც ვლადიმირ ვაისი დაუბრუნდა — მწვრთნელი, ვინც იმ 2005-ში სლოვაკეთის ჩემპიონი გუნდი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა და იქაც ღირსეულად ათამაშა. მაშინ სლოვაკებმა ლიგაში სერბული „პარტიზანის“ ძლევის გზით შეაღწიეს, რომელიც „არტმედიას“ მხოლოდ პენალტების სერიაში დანებდა.

წლეულს ვაისი სლოვაკეთის ჩემპიონს რუსულ „სატურნში“ გატარებული არცთუ წარმატებული პერიოდის შემდეგ დაუბრუნდა, მაგრამ მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრამ სლოვაკებს უწინდელივით აღარ გაუმართლა — სად „პარტიზანი“ და სად „იუვენტუსი“...

ამ გუნდების პირველი, ტურინული მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა, რომელთაც მეტოქე „გადაყლაპეს“ — 4:0 იმას ნიშნავდა, რომ „ბებერი ქალბატონი“ ორწლიანი პაუზის შემდეგ ევროპულ ელიტას დაუბრუნდებოდა. ამაში ეჭვი არც ტურინელებს ეპარებოდათ და არც ბრატისლაველებს. ამიტომაც იყო, რომ იტალიური გრანდის დამრიგებელმა თავისი შეტევის ვეტერანი ლიდერები, ალესანდრო დელ პიერო და დავიდ ტრეზეგე დაასვენა, რომელთა ადგილიც იაკვინტა-ამაურის წყვილმა დაიკავა.

მე-13 წუთზე მასპინძელთა ფორვარდმა ფოლდრეკმა აკრობატულ ნახტომში ობჟერას პასი დააგვირგვინა და „არტმედია“ დააწინაურა, მაგრამ სტუმართა პასუხმაც არ დააყოვნა. ჯერ იყო და, „იუვეს“ ახალწვეულმა ამაურიმ ბრატისლაველთა კარის ძელი შეაზანზარა, ფოლდრეკის გოლიდან თორმეტიოდე წუთში კი კიდევ ერთი ვარსკვლავ-ვეტერანის, ჩეხი პაველ ნედვედის საუცხოო გადაცემით ისარგებლა და ბურთი დაუცველ კარში მოათავსა. მატჩის ისედაც მინიმალური ინტრიგა აქ მოკვდა.

მეორე ტაიმის მიწურულს კი მხარეებს გოლის გატანის თითო შანსი ჰქონდათ: შეცვლაზე შესულმა გალენარმა ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ იხეირა, ხოლო ამაურის სახიფათო დარტყმა „არტმედიას“ მეკარე კამენარმა მოიგერია.

„იუვენტუსთან“ ფრე ბრწყინვალე შედეგია — თქვა ნამატჩევს ვლადიმირ ვაისმა — რამდენი წელი გავა, ვიდრე რომელიმე სლოვაკური კლუბი „იუვეს“ დონის მეტოქესთან ფრეს მიაღწევს...“

კიდევ ერთმა გრანდმა, კატალონიურმა „ბარსელონამ“ საშუალოევროპულ მეტოქესთან სტუმრობით მასპინძელთა ფანები უფრო მეტად გაახარა, ვიდრე „იუვენტუსმა“ — ბრატისლაველები. „კამპ ნოუზე“ „ბარსამ“ პოლონეთის ჩემპიონი „ვისლა“ 4:0 გააცამტვერა და კრაკოვშიც საუკეთესო შემადგენლობით წარსდგა, თუ არ ჩავთვლით ბრწყინვალე ლეო მესის არყოფნას, ვინც პეკინის ოლიმპიადიდან ოდნავ დაღლილი დაბრუნდა. ასეა თუ ისე, კრაკოვის სტადიონზე პუიოლმაც ითამაშა, ხავიმაც, ინიესტამაც, ანრიმაც და ეტოომაც...

მასპინძლებმა მატჩი მეტად ენერგიულად დაიწყეს და დებიუტშივე უნდა გაეტანათ, მაგრამ ბროჟეკმა კარგი პოზიციიდან ააცილა. მოგვიანებით მომენტი უკვე კატალონიელებმა გაანიავეს — ტიერი ანრიმ ინიესტას გადაცემა მიიღო და არაზუსტად დაარტყა.

მეორე ნახევრის დასაწყისში კი ბარსელონელ მცველებს კლებერი დაუსხლტა, რომელმაც პრაქტიკულად აულებელი თავურით ბურთი ვიქტორ ვალდესის კარის ახლო ძელთან შეაგდო. ამის მერე „ბარსა“ თავმოყვარეობამ შეაწუხა, გააქტიურდა და უამრავი მომენტიც შექმნა, მაგრამ ხერარდ პიკემ, კარლეს პუიოლმა, სამუელ ეტოომ და ბოიან კრკიჩმა თავისი გუნდი მარცხისგან ვერ იხსნეს. ასეა თუ ისე, ჩემპიონთა ლიგის ორგზის გამარჯვებული „ბარსელონა“ ჯგუფურ ეტაპზე გავიდა...

ლიგაშია ათენის „პანათინაიკოსიც“, რომელმაც ორი კვირით ადრე, პრაღაში იქაური „სპარტას“ 2:1 ძლევის შემდეგ, მშობლიურ არენაზე თავს კომფორტულად გრძნობდა და სოუზას მიერ ბოლო წუთზე გატანილი კინკილა გოლით საშინაო მატჩიც მოიგო.

**სლავა გასპაროვი**


საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

გთავაზობთ
ფასდაკლებას საერთაშორისო საუბრებზე

10% - დან 30% - მდე

აირჩიეთ ორი ნომერი და დაარეგისტრირეთ „საქართველოს ტელეკომში“
ერთი ნომერი - ადგილობრივი, საიდანაც რეკავთ (ქალაქის ტელეფონი)
მეორე ნომერი - საზღვარგარეთ, ვისთანაც ისურვებდით ფასდაკლებით საუბარს (ქალაქის ან მობილური ტელეფონი)

რეგისტრაციისთვის:
დარეკეთ ტელეფონზე - **442020** (დარეგისტრირება უფასოა)
ან
მობრძანდით „საქართველოს ტელეკომის“ საკომუნიკაციო და ანგარიშსწორების ცენტრებში.

რაც მთავარია ფასდაკლებით სარგებლობა შესაძლებელია

მხოლოდ **8-10**-ით

www.telecom.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიზანსწრაფული ნასრი

## არსენალი სულ სხვა დონეა



**ფრანგული „მარსელის" აღზრდილმა სამირ ნასრიმ „ველოდრომზე" გატარებული 12 წლის შემდეგ, ამ ზაფხულს კლუბი დატოვა და ლონდონის „არსენალში" ჩაირიცხა. 21 წლის შემტევს „მეთოფეებში" ბრწყინვალე დებიუტი გამოუვიდა — პრემიერლიგის პირველ ტურში „არსენალმა" მისი გოლით მოუგო „ვესტ ბრომმოვიჩს" და ის მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. ნასრის fifa.com-ი გაესაუბრა**

**— „არსენალში" კარიერა ბრწყინვალედ დაიწყეთ, როგორც ჩანს, ინგლისურ ფეხბურთთან შეგუება არ გაგიჭირდათ...**

— უკეთეს დებიუტს ვერც ვინატრებდი. როცა არსენ ვენგერს შევხვდი, მან მითხრა, რომ ჩვეულებრივ, ადაპტაციას 6 თვე სჭირდება. მან მაგალითად ემანუელ პეტი და რობერ პირესი მომიყვანა. მეტ სირთულესაც ველოდი. აქ ფიზიკური დატვირთვები და ორთაბრძოლები უფრო ბევრია, ვიდრე საფრანგეთში, ეს ლოგიკურიცაა. მთავარი სხვაობა კი ტემპია, რომელიც აქ გაცილებით მაღალია. „არსენალი" შემტევ ფეხბურთს თამაშობს, სწრაფ პასებსა და მოძრაობებზე აგებული ეს სტილი კი, ჩემს შესაძლებლობებს ბრწყინვალედ ეხამება. სწორედ ამას ვეძებდი. ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა ვარჯიშის აქაურმა სტილმაც, რომელიც ძალიან ჰგავს საფრანგეთის ნაკრების ვარჯიშებს. პასებს განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ. ახლა მესმის, რატომ იყო ტელევიზორით „მეთოფეების" თამაში ასე მიმზიდველი. ეს ყველაფერი ფანტასტიკურია და ძალიან მომწონს.

**— მშობლიური კლუბი 21 წლის ასაკში რატომ დატოვეთ?**

— ძალიან რთული სეზონი მქონდა. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები შემექმნა და ამის გამო, ბევრი გამიცდა. გამიჭირდა გადაწყვეტილების მიღება. „მარსელში" დარჩენაც მინდოდა. ამ კლუბში ხომ 12 წლის ასაკიდან ვიყავი. მართალია, ტიტულები არ მომიგია, მაგრამ ყველაფერი ვნახე — ახალგაზრდული გუნდი, ოთხი წელი პროფესიონალებთან ერთად... თანაც მარსელში მშობლებთან ერთად ვიყავი. თუმცა, ვიფიქრე, რომ დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყების დრო მოვიდა.

**— „არსენალში" გადასვლა უცებ გადაწყდა?**

— „მეთოფეები" მოგვიანებით გამოჩნდნენ. თავიდან სხვა კლუბები აქტიურობდნენ, მაგრამ, როგორც კი ჩემმა აგენტმა ლონდონელთა ინტერესის შესახებ მითხრა, „არსენალი" ჩემს პრიორიტეტად იქცა. სხვათა შორის, მამაჩემიც იმავე აზრზე იყო. უბრალოდ, შეხედეთ, რა ქნეს „მეოფეებმა" ბოლო წლებში. ლონდონელები ძალიან ენდობიან ახალგაზრდა ფეხბურთელებს და განსაკუთრებით, ფრანგებს, რომლებიც აქ ჩამოდიან და უმაღლესი კლასის ფეხბურთელებად ყალიბდებიან. „არსენალი" გარანტიაა, ეს გუნდი წარმატებასთან ასოცირდება. თან აქ არსენ ვენგერია, რაც ბევრს ნიშნავს. როცა მოვდიოდი, ვიცოდი, არ დავიკარგებოდი და თავს უხერხულად ოდნავადაც არ ვგრძნობ. გასახდელში ფრანგულს უფრო ხშირად გაიგონებთ, ვიდრე ინგლისურს. არ დაგავიწყდეთ, რომ მხოლოდ 21 წლის ვარ და არა 26-ის ან 28-ის. დიდი საერთაშორისო გამოცდილება არ მაქვს და ამიტომ, „არსენალი" ჩემთვის იდეალური ვარიანტია.

**— „მარსელსა" და „არსენალს" შორის განსხვავებებს უკვე ხედავთ?**

— დიდ ფრანგულ კლუბში ვიყავი და ახლა დიდ ევროპულ გუნდში ვარ. როცა აქ ჩამოდიხარ, ინგლისურ მობილურ ტელეფონს გაძლევენ, რომელშიც ყველა მნიშვნელოვანი ტელეფონის ნომერი წერია. არის ბიჭი, რომელიც 24 საათი ხაზზეა. როცა ვარჯიშზე მიდიხარ, პერსონალურად შენთვის შექმნილ სავარჯიშო პროგრამას გაძლევენ. ერთი სიტყვით, ეს სულ სხვა დონეა. თუმცა „არსენალი" ქარხანა არ გეგონოთ, ეს ერთი დიდი ოჯახია. გოგონებსა და ახალგაზრდულ გუნდთან ერთად ვსადილობთ.

**— ბევრი მიმომხილველი და თავად არსენ ვენგერი თქვენ რობერ პირესის დარ წარმატებულ კარიერას გიწინასწარმეტყველებენ...**

— დღეს გარანტია რომ მომცეთ, მისნაირი კარიერა გექნებაო, დაუფიქრებლად დავთანხმდები ამ ვარიანტს. თავის დროზე ის მსოფლიოს საუკეთესო მარცხენა ნახევარმცველი გახლდათ. მას უამრავი გოლი გაჰქონდა და უამრავ საგოლე პასს აკეთებდა. ერთმანეთს ბევრი რამით ვგავართ. რობერსაც ძალიან უყვარდა ფლანგიდან ცენტრისკენ შემოწევა.

**— როცა „არსენალთან" კონტრაქტი გააფორმეთ, რა დაისახეთ მიზნად?**

— აქ დონის ასამაღლებლად, კლასის გასაუმჯობესებლად ჩამოვედი. წინსვლა უნდა გავაგრძელო, რაც საფრანგეთის ნაკრებში დამკვიდრებაში დამეხმარება. თუ უახლოეს მომავალში ეროვნული ნაკრების სასტარტო თერთმეტეულში ჩემი ადგილი მოიძებნება, ბედნიერი ვიქნები. იქამდე კი მინდა, „არსენალში" დავმკვიდრდე. „მეთოფეების" რიგებში ყოფნა ძალიან ბევრს ნიშნავს.



ბოიან კრკიჩი



ვისენტე დელ ბოსკე

# ხელები შორს კრკიჩისგან!

**ესპანეთის** ნაკრების მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ სერბ კოლეგას რადომირ ანტიჩს ბოიან კრკიჩზე ხელის აღება ურჩია. სერბთა თავკაცმა რამდენიმე დღის წინ თქვა, „ბარსელონას" ფორვარდმა ჩვენ ნაკრებში უნდა ითამაშოსო, რაზეც დელ ბოსკემ ასე უპასუხა: „ის ჩვენია!"

„ბოიან კრკიჩს ძალიან ვაფასებთ, ის უკვე გაესპანელდა და ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდში თამაშის სურს. გადაწყვეტილებას თვითონ მიიღებს, რადგან ეს პირადული საკითხია და დაძალება არ შეიძლება. ბოიანი არჩევანში თავისუფალი უნდა იყოს".

„კრკიჩი ესპანეთშია დაბადებული. სერბი მამა და კატალონიელი დედა ჰყავს. ესპანელთა 17 და 21-წლამდელთა ნაკრებში უთამაშია და 2007-ში 17-წლამდელებში ევროპის ჩემპიონი გახდა.

ლუის არაგონესმა ის ევრო 2008-ისთვის გამოიძახა, მაგრამ საფრანგეთთან ამხანაგური მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა და მწვრთნელმა ამის შემდეგ საევროპო სიიდან ამოშალა.

კრკიჩს ვისენტე დელ ბოსკემაც უხმო ცოტა ხნის წინ დანიასთან ამხანაგურისთვის, მაგრამ თერთმეტეულში არ ათამაშა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რუმენიგემ ფრეები ახსენა



**მიუნხენის** „ბაიერნის" შეფმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ ზედიზედ ორი ფრის შემდეგ ხმა ამოიღო და იურგენ კლინსმანს პირობა შეახსენა.

გერმანიის ჩემპიონი პირველ ტურში შინ „ჰამბურგს" დაუზავდა, მეორეში — სტუმრად „დორტმუნდს". მანამდე თასზე მესამე დივიზიონის კლუბს ძლივს მოუგო და „დორტმუნდთან" სუპერთასი წააგო. ეს ყველაფერი სავსებით საკმარისია რუმენიგეს უკმაყოფილებისთვის.

„ვიმედოვნებ, რომ პირველი წრის შემდეგ ცხრილის თავში ვიქნებით — განაცხადა მან — ეს ჩვენი მიზანია. საპანიკო ჯერჯერობით არაფერია, იურგენ კლინსმანს კი გეგმების განსახორციელებლად დრო სჭირდება".

ფრანკ რიბერის, ლუკა ტონის, ვილი სანიოლის და მარტინ დემიკელისის ტრავმებმა „ბაიერნის" მწვრთნელს საქმე გაურთულა.

„ცუდი შედეგების მიუხედავად, სიმშვიდეს ვინარჩუნებთ — თქვა რუმენიგემ — კლინსმანი ზუსტად ის კაცია, რომელიც გვჭირდება და გარწმუნებთ, რომ სწორ გზაზე ვდგავართ, წინა სეზონში ათი ფრე ვითამაშეთ, მაგრამ ჩემპიონატში უახლოეს მდევარს მაინც ათი ქულით გავასწარით. ჯერჯერობით არ ვღელავ და ვცდილობ, ვითარებას რეალურად შევხედო".

წინა სეზონის ბომბარდირმა ლუკა ტონიმ „დორტმუნდთან" ითამაშა, მაგრამ ჯერ ფორმაში არაა. მარტინ დემიკელისიც მალე მომჯობინდება და დაცვაში პრობლემებს მოაგვარებს.

„მარტინ დემიკელისის დაბრუნებისთანავე გუნდის დაცვა გამოსწორდება და ეს ოპტიმისტურად განმაწყობს. მსოფლიოში არ არსებობს კლუბი, ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელების დანაკლისი რომ არ დაეტყოს. ასეთი რამ ზოგჯერ „ბაიერნსაც" ემართება" — ბრძანა რუმინიგემ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მანჩინის მადლობა

**მას** მერე, რაც „ინტერის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან მოხსნეს, რობერტო მანჩინი პრესასთან ძალიან იშვიათად ჩნდება. „მანჩოს" ჯერაც ვერ მოუნელებია „ნერაძურიდან" გაშვება და გაბუტული კაცივით იქცევა. თუმცა, მიუხედავად ამისა, მილანელთა ახალ თავკაც ჟოზე მაურინიუსა და გუნდის კაპიტან ხავიერ ძანეტის მანჩინიმ მადლობა მაინც გადაუხადა.

საქმე ის არის, რომ გასულ კვირას „რომასთან" მოგებული იტალიის სუპერთასის შემდეგ, მაურინიუმ თქვა, მე ამ გამარჯვების მხოლოდ თანამონაწილე ვარ, თორემ სკუდეტო „ინტერს" მანჩინიმ მოაგებინა და ეს ტიტული, გარკვეულ წილად, მასაც ეკუთვნისო. ძანეტიმ კი „გლადიატორებთან" მოგება „მანჩოს" მიუძღვნა.

„მადლობას ვუხდი მაურინიუსა და ძანეტის სუპერთასზე გამარჯვების ჩემთვის მოძღვნისთვის. ვულოცავ მათ „რომასთან" გამარჯვებას და მომავალ სეზონში „ინტერს" დიდ წარმატებას ვუსურვებ" — თქვა მანჩინიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბუტე-ბუტე გაგებუტე



დიმიტარ ბერბატოვს

ტოტენჰემელმა თანაგუნდელებმა ცივი შხაპი გადაასხეს. მოგეხსენებათ, გასულ შაბათს, „სანდერლენდთან" შეხვედრაში ბულგარელი თავდამსხმელი ლონდონელთა მწვრთნელმა ხუანდე რამოსმა სათადარიგოთა სკამზეც კი არ დასვა და ამან მანამდე არსებული პრობლემა გაამწვავა: მას მერე ბერბატოვი „სფურზის" ვარჯიშზე არ მისულა.

თუმცა, სამშაბათს ნავსი გატყდა — ბერბატოვი საწვრთნელ ცენტრში გამოცხადდა, ოღონდ... ჰოი, საოცრებავ, არც ერთმა თანაგუნდელმა ხმა არ გასცა.

საიდან მოუვიდათ ასეთი რამ „ტოტენჰემ ჰოთსპურის" მოთამაშეებს თავში? როგორც ჩანს, მათზე „სანის" მესვეტისა და 80-იანი წლების ცნობილი ფეხბურთელის, „არსენალის" ლეგენდარული თავდამსხმელის, იან რაიტის დაწერილმა იმოქმედა. რაიტი ლონდონელებს „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლაზე მეოცნებე ბულგარელის გულიდან ამოგლეჯვას ურჩევდა.

ამბობენ, თვით მეკარე ლედლი კინგმაც კი დაქოქა თანაგუნდელები, ასე ეუბნებოდა, ბერბატოვის სახელი დავივიწყოთ და შაბათს „ჩელსისთან" სათამაშოდ მოვემზადოთო.

პრობლემის არსი კი „სარბიელის" მკითხველებს კარგად მოგეხსენებათ: ბერბატოვის შეძენა „მანჩესტერ იუნაიტედს" უნდა, ოღონდ 25 მილიონ გირვანქაზე მეტს არ იხდის, „ტოტენჰემ ჰოთსპური" კი 30-ს ითხოვს.

**პაპუნა ძიდია**

# ალბერტ აინშტაინი შიმუნიჩს ვერ გაიგებდა




**ბერლინის** „ჰერტას" მცველი პატრიკ ებერტი მწვრთნელის კრიტიკის გამო დააჯარიმეს.

გასულ შაბათს „არმინიასთან" საშინაო მატჩში (1:1) ბერლინელთა თავკაცმა ლუსიენ ფავრმა ძირითად შემადგენლობაში იოსიპ შიმუნიჩი არ ათამაშა, რამაც ებერტი გააბრაზა და ფავრი საჯაროდ გააკრიტიკა. მწვრთნელმა თქვა, რომ ხორვატი მცველი სათადარიგოებში ტაქტიკურ მოსაზრებათა გამო დატოვა, არადა, შიმუნიჩმა პირველ ტურში სტუმრად „აინტრახტთან" კარგად ითამაშა.

პატრიკ ებერტი: „მეც და მთელმა გუნდმაც ვერ გავიგეთ, რატომ დარჩა სათადარიგოებში იოსიპ შიმუნიჩი. „აინტრახტთან" მან ორთაბრძოლების 88 პროცენტი მოიგო და გაუგებარია, რატომ არ იყო „არმინიასთან" ძირითად შემადგენლობაში".

ბერლინის „მორგენსპორტის" ცნობით, ებერტს მწვრთნელის საქმეებში ჩარევა 5 ათასი ევრო დაუჯდა. ლუსიენ ფავრის თანაშემწემ მიხაელ არეეცმა განაცხადა, რომ ეს ფული საქველმოქმედო ფონდში გადაირიცხა.

21 წლის ებერტს ბოდიშიც მოახდევინეს, თუმც აშკარაა, რომ გუნდში არაჯანსაღი ვითარებაა. „არმინიას" კარში გოლის გატანის შემდეგ მარკო პანტელიჩმა და მთელმა „ჰერტამ" იოსიპ შიმუნიჩთან მიირბინა, შენ გეძლვნებაო, მწვრთნელთან კი არავინ მისულა.

ბერლინის „კურიერთან" იოსიპ შიმუნიჩმა განაცხადა: „მგონი, ალბერტ აინშტაინიც ვერ ახსნის, რატომ არ მათამაშა ლუსიენ ფავრმა „არმინიასთან". ძალიან გულდაწყვეტილი ვარ და გაუგებარია, მწვრთნელი რას მერჩის".

**ვაჟა ხუციშვილი**

# საფეხბურთო ლეგენდები

**გიორგი კაკაბაძე**




## ლეგენდა №66

## ელ მატადორი

მთელი მსოფლიო და განსაკუთრებით, სრულიად არგენტინა დიეგო არმანდო მარადონას აღმერთებს. თუმცა პირველად ალბისელესტე მსოფლიო ფეხბურთის მწვერვალზე 1978 წელს ავიდა, როცა მუნდიალს უმასპინძლა და მოიგო კიდეც. ამ უდიდესი წარმატების შემქმნელი კი მარიო ალბერტო კემპესი გახლდათ. „ელ მატადორი", როგორც მას ეძახდნენ, მარადონას გამოჩენამდე ყველა არგენტინელი ქომაგისთვის სათაყვანებელი ფიგურა იყო.

კემპესის მამასაც მარიო ერქვა და ისიც ფეხბურთელი იყო. სწორედ მან შეაყვარა ბურთის გორება ვაჟს და „ელ მატადორი" 7 წლის ასაკში იუნიორთა გუნდში ჩაეწერა.

1954 წლის 15 ივლისს, ბელ ვილეში, კორდობას რაიონში დაბადებული მარიოს პირველი პროფესიული კლუბი ადგილობრივი „ინსტიტუტო დე კორდობა" გახდა. მოგვიანებით ამას „როსარიო", „ვალენსია", „რივერ პლეიტი", ისევ „ვალენსია", „ერკულესი", „ვენა", „სანკტ პიოლტენი", „კრემსერი", „ფერნანდეს ვიალი" და „პელიტა" მოჰყვა. 26-წლიანი სათამაშო კარიერა მან 1996 წელს 41 წლის ასაკში დაასრულა.

„ელ მატადორმა" თავი „როსარიოში" კარგი თამაშისა და უამრავი გატანილი გოლის წყალობით გაითქვა. თუმცა მისი საკლუბო კარიერის საუკეთესო წლები მაინც „ვალენსიას" უკავშირდება. „ღამურების" მაისურით, იგ ორჯერ 1976-77 და 1977-78 წლების სეზონებში, შესაბამისად, 24 და 28 გოლით ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. „ვალენსიასთან" ერთად მან ესპანეთის თასი, თასების მფლობელთა თასი და ევროპის სუპერთასიც მოიგო.

ასეა თუ ისე, მისი მთავარი წარმატება, ცხადია, ეროვნულ ნაკრებს უკავშირდება. 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე იგი არგენტინის ერთადერთი ლეგიონერი გახლდათ. კემპესს თუ არ ჩავთვლით, ალბისელესტე მთლიანად ადგილობრივ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებით გახლდათ დაკომპლექტებული.

არგენტინელთა მაშინდელი მწვრთნელი სესარ ლუის მენოტი „ელ მატადორისადმი" საქებარ სიტყვებს არ იშურებდა და მას ბოლომდე ენდობოდა. გამოცდილი ტაქტიკოსი არც ცდებოდა, რაც ფაქტებით დადასტურდა.

კემპესი თავდამსხმელი იყო, მაგრამ ჩვეულებრივ ცენტრფორვარდთან შედარებით, გაცილებით მრავალფეროვანი გახლდათ. მეტოქეთა მცველებმა არასოდეს იცოდნენ, საიდან ელოდათ საფრთხე, „ელ მატადორის" სტილი მათ აბნევდა. ფიზიკურად საკმაოდ ძლიერ კემპესს მძლავრი დარტყმა ჰქონდა და მეტოქის საჯარიმოს გარედან ხშირად იტანდა გოლებს.

1978 წლის მუნდიალზე მან საკუთარი შესაძლებლობები პირველი ჯგუფური ეტაპის მერე გამოავლინა. საწყისი სამი მატჩის მერე, „ელ მატადორს" არ გაეტანა, მაგრამ მენოტი მას მაინც ენდობოდა და... არგენტინამ პოლონეთს სწორედ კემპესის დუბლით მოუგო. ბრაზილიასთან შეხვედრა 0:0 მორჩა, ხოლო პერუსთან 6:0 მოგებულ მატჩში კემპესმა ასევე წყვილი გოლი მიითვალა.

ფინალში არგენტინა „ელ მატადორის" გოლით ჰოლანდიას უგებდა, მაგრამ მატჩის მიწურულს „ნარინჯისფერებმა" ანგარიშის გათანაბრება შეძლეს. თუმცა დამატებით დროში, კერძოდ, 104-ე წუთზე კვლავ კემპესმა გაიტანა და საბოლოოდ გატეხა მეტოქე. 114-ე წუთზე ალბისელესტემ კიდევ ერთი გოლი შეაგდო და საბოლოოდ 3:1 იმარჯვა.

6 გოლით „ელ მატადორი" ტურნირის ბომბარდირი და საუკეთესო მოთამაშე გახდა. იმავე წელს იგი სამხრეთ ამერიკის უძლიერეს მოთამაშედ დაასახელეს. „უორლდ სოკერმა" კი მსოფლიოს პირველ ნომრად აღიარა.

1973-1982 წლებში არგენტინის ნაკრების ღირსება კემპესმა სულ 43-ჯერ დაიცვა და 20 გოლი გაიტანა. 2004 წლის მარტში პელემ ის მსოფლიოს 125 საუკეთესო ცოცხალ ფეხბურთელთა სიაში შეიყვანა.

სათამაშო კარიერის დასრულების შემდეგ, მან მწვრთნელობა დაიწყო და ალბანური „ლუჟნია" ჩაიბარა. იგი ალბანეთში პირველი უცხოელი მწვრთნელი გახლდათ, რომელმაც ასევე პირველად შეიძინა ლეგიონერი. თუმცა მთლიანობაში „ელ მატადორს" ეს საქმე მაინცდამაინც კარგად არ გამოუვიდა და რამდენიმე წელიწადში შეეშვა კიდეც ტაქტიკოსობას.

ამჟამად ის ESPN-ზე ანალიტიკოსად მუშაობს. „ელ მატადორი" ყურადღების ცენტრში ბოლოს 2008 წელს „მანჩესტერ იუნაიტედსა" და „ბარსელონას" შორის გამართული ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისას გაკეთებული კომენტარების გამო მოექცა. მან სიმულანტი ფეხბურთელები დაიცვა და მეტიც, თქვა, ისინი, ვინც ფეირ პლეის წესებს იცავენ, საბოლოოდ ვერასოდეს იგებენო.

## ლეგენდა № 67

## უნიკალური ჰეთ თრიქი

1986 წლის 24 აპრილს „ვესტ ჰემმა" „ნიუკასლი" გაანადგურა — 8:1. „ჩაქუჩებიდან" ალვინ მარტინმა 3 გოლი გაიტანა და ეს ერთგვარად უნიკალური ჰეთ თრიქი გამოვიდა.

მარტინმა სამივე გოლი სხვადასხვა მეკარეს გაუტანა. პირველად მან მარტინ ტომასი დაამწუხრა, მაგრამ ის დაშავდა და კარში მისი ადგილი მცველმა კრის ჰედვორთმა დაიკავა. მარტინმა მასაც გაუტანა და შემდეგ, ჰედვორთის შემცვლელ თავდამსხმელ, პიტერ ბერდსლისაც.

საინტერესოა ისიც, რომ ალვინ ედვარდ მარტინი მცველი გახლდათ და ინგლისის ჩემპიონატში სულ 27 გოლი აქვს გატანილი. მან „ვესტ ჰემის" მაისურით მთლიანობაში 586 მატჩი ჩაატარა. კარიერა 39 წლის ასაკში „ლესტერში" დაასრულა, რომლის რიგებშიც ოდენ ერთი სეზონი ითამაშა. მას 17 მატჩი ინგლისის ნაკრებშიც აქვს გამართული.
















# ათი ყველაზე სერ-იოზული ტრანსფერი

დიმიტარ ბერბატოვი, „მანჩესტერ იუნაიტედისკენ" მიილტვის და შესაძლოა, რამდენიმე დღეში სერ ალექს ფერგიუსონის მორიგი შენაძენი გახდეს. დიახ, ფერგიუსონს თავდამსხმელის პრობლემა აქვს, რის გამოსწორებასაც „ტოტენჰემ ჰოთსპურიდან" ბულგარელის გადაბირებით აპირებს.

კი მაგრამ, აქვს მანჩესტერელთა თავკაცს იმის გარანტია, რომ „ოლდ ტრეფორდზე" გადაბარგების შემდეგ ბერბატოვი ვარსკვლავად დარჩება? ისტორიამ მრავალი შემთხვევა იცის, როდესაც ესა თუ ის ფეხბურთელი ამა თუ იმ გუნდს უბრალოდ ვერ მორგებია.

რასაკვირველია, ასეთი გარანტია არ არსებობს, თუმცა ბერბატოვს აქვს შანსი, ფერგიუსონის მანჩესტერულ კარიერაში საუკეთესო შენაძენთაგან ერთ-ერთი გახდეს.

შეგახსენებთ, რომ ალექს ფერგიუსონი 22 წელიწადია „მანჩესტერ იუნაიტედს" თავკაცობს და ამ ხნის განმავლობაში უამრავი ფეხბურთელი უყიდია, რომელთაგან ზოგი გამოდგომია, ზოგიც ჩაფლავებულა. გაზეთი „სანი", რუბრიკაში „ათი ყველაზე" დღეს სწორედ სერ ალექსის ათ ყველაზე წარმატებულ ნასყიდობას გვთავაზობს.

ამ ათეულში ვერ მოხვდნენ ისეთი მანჩესტერელები, როგორებიც გახლდნენ მარკ ჰიუზი, გარი პალისტერი, პოლ ინსი, იაპ სტამი და სხვანი. სანელთა ვერსია, სადაც თითოეული ფეხბურთელის გვარ-სახელის შემდეგ დასახელებული სატრანსფერო თანხა გირვანქებში, ასეთი გახლავთ:

### 10 უეინ რუნი
**27 მილიონი; 2004**

უეინ რუნისა და „იუნაიტედის" ერთობლივი ისტორია ჯერ ბოლომდე არ დაწერილა, ასე რომ, თავის სათქმელს დრო კიდევ იტყვის, თუმცა ფაქტია, რომ „ოლდ ტრეფორდზე" გატარებული პირველი ოთხი წელიწადი უეინ რუნისთვის ჩინებული იყო. ჯარჯერობით რუნის ნაკლი გოლების რაოდენობაა, თუმცა მისი ზოგადი წვლილი „მანჩესტერ იუნაიტედის" წარმატებებში ეჭვს არ იწვევს.

### 9 სტივ ბრიუსი
**800 ათასი; 1987**

როგორც ბრიუსი, ასევე მისი პარტნიორი გარი პალისტერი „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" დიდი ძალა გახლდათ, მაგრამ ბრიუსი პალისტერისგან განსხვავებით „სანის" ათეულში იმიტომ მოხვდა, რომ დაცვაში ტრიალის გარდა გოლების გატანაც შეეძლო. ფაქტია: იყო სეზონი, როდესაც ბრიუსმა არც მეტი, არც ნაკლები, 19 გოლი გაიტანა. საოცარი მხოლოდ ის არის, რომ ეს მებრძოლი და გოლის ალღოიანი მცველი ინგლისის ნაკრებში არასდროს მიუწვევიათ.

### 8 რიო ფერდინანდი
**30 მილიონი; 2002**

ინგლისის ნაკრების მცველს „მანჩესტერ იუნაიტედთან" შესაგუებლად დრო დასჭირდა, მაგრამ დღეს ფერგიუსონის გუნდის ერთ-ერთი სანდო და გამორჩეული ფიგურაა. ფერდინანდი საიმედო მცველიცაა და გარი ნევილის არყოფნაში ლიდერის როლსაც კისრულობს. იაპ სტამის შემდეგ სერ ალექსს ასეთი დონის მცველი არ ჰყოლია.

### 7 ოლე გუნარ სოლსკიაერი
**1.5 მილიონი; 1996**

„ბავშვისსახიანი მკვლელი" შესაძლოა, „იუნაიტედის" ძირითადი შემადგენლობის მუდმივი წევრი არ ყოფილა, მაგრამ გუნდის წარმატებებში დიდი წვლილის შეტანა „სათადარიგოთა სკამიდანაც" მოახერხა. რასაკვირველია, სოლსკიაერზე ლაპარაკისას მისი გოლი ჩემპიონთა ლიგის 1999 წლის ლეგენდარულ ფინალში გონებაში პირველი მოდის, მაგრამ ამ ჩინებული ფორვარდის კარიერის ამ ერთ ეპიზოდამდე დაყვანა სწორი არ იქნებოდა.

### 6 დენის ირვინი
**625 ათასი; 1990**

„ოლდ ტრეფორდზე" გატარებული უამრავი სეზონის განმავლობაში ირლანდიელი მცველი ამტკიცებდა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი" საოცრად სწორად მოიქცა, ის რომ შეიძინა. ამასთან, არ შეიძლება მისი საოცარი საჯარიმო დარტყმების დავიწყებაც. ამ დარტყმების წყალობით ირვინი მოედნის მეორე ნახევარზეც ფრიად სასარგებლო გახლდათ.

### 5 რუუდ ვან ნისტელროოი
**19 მილიონი; 2001 წელი**

მოგეხსენებათ, ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა ალექს ფერგიუსონთან ურთიერთობები უკიდურესად გაიფუჭა და საბოლოოდ ის მწვრთნელმა გუნდიდან გაუშვა, მაგრამ მანამდე ვან ნისტელროოიმ „იუნაიტედის" ერთ-ერთ ლეგენდარულ ფიგურად ქცევა მოასწრო. მუხლის სერიოზული ოპერაციის შემდეგ ჰოლანდიელმა ფორვარდმა „იუნაიტედის" მაისურით 150-ზე მეტი გოლი გაიტანა. სერ ალექსს, რომელიც დღეს სწორედ გოლის ალღოიან ძლიერ თავდაიმსხმელს ეძებს, იქნებ გულიც სწყდება ვან ნისტელროოი „ოლდ ტრეფორდზე" რომ აღარ ჰყავს.

### 4 კრიშტიანუ რონალდუ
**12 მილიონი; 2003**

რასაკვირველია, პორტუგალიელ გარემარბს ამ სიაში თავისი პოზიციის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება შეუძლია. ამისთვის მან შარშანდელი უნდა გაიმეოროს. გასულ სეზონში, როგორც პრემიერლიგაში, ასევე ჩემპიონთა ლიგაში რონალდუ შეუჩერებელი გახლდათ. ამიტომაც იხმარა ფერგიუსონმა ყველა ღონე, რათა რონალდუ „რეალში" არ გაეშვა.

### 3 ერიკ კანტონა
**1,2 მილიონი; 1992**

ფრანგმა თილისმამ „მანჩესტერ იუნაიტედში" ხუთი ენითაუწერელი სეზონი გაატარა. საერთო აზრით კანტონა გახლდათ ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი იმ თავდამსხმელთაგან, ვისაც ოდესმე ინგლისის მინდვრებზე ბურთი გაუგორებია. „კრისტალ პალასის" მავან გულშემატკივართან ტრიბუნაზე ავარდნა და წიხლის მირტყმა, რასაკვირველია, კანტონას კარიერის შავი ლაქა გახლდათ, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედის" ფანებმა ფრანგს ეს საქციელი აპატიეს.

### 2 პიტერ შმეიხელი
**550 ათასი; 1991**

შმეიხელი „მანჩესტერის" ისტორიაში საუკეთესო მეკარე რომ იყო, ფაქტია, მაგრამ ზოგი უფრო შორსაც მიდის და ამტკიცებს, რომ მისი ბადალი მსოფლიოშიც კი არასდროს ყოფილა. მანჩესტერში ჩასვლის წინ დანიელ გოლკიპერს მაინცდამაინც არ იცნობდნენ, თუმცა კარიერის ბოლოს ის განსაკუთრებული სიკაშკაშის ვარსკვლავად იქცა.

### 1 როი კინი
**3,75 მილიონი; 1993**

„მანჩესტერ იუნაიტედიდან" როი კინი გაბრაზებული წავიდა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, „ოლდ ტრეფორდზე" მას არასდროს დაივიწყებენ. ტექნიკის თვალსაზრისით ირლანდიელი ნახევარმცველი, რასაკვირველია, ბევრს ჩამოუვარდებოდა, მაგრამ მისი გავლენა თანაგუნდელებზე და გაუტეხელი სული, უეჭველად ფენომენალური მნიშვნელობისა იყო.

**პაპუნა ძიძია**















# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 51 | ევერტონი-პორტსმუთი | 2.10 | 3.20 | 3.35 | 1.26 | 1.29 | 1.63 |
| 20:30 | 53 | არსენალი-ნიუკასლი | 1.40 | 3.70 | 8.50 | 1.01 | 1.20 | 2.57 |
| 18:00 | 55 | ბოლტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1.80 | 3.20 | 4.30 | 1.15 | 1.26 | 1.83 |
| 18:00 | 57 | ვესტ ჰემი-ბლექბერნი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 18:00 | 58 | მიდლსბრო-სტოკი | 1.60 | 3.30 | 5.70 | 1.07 | 1.24 | 2.08 |
| 18:00 | 60 | ჰალი-უიგანი | 2.45 | 3.20 | 2.70 | 1.38 | 1.28 | 1.46 |
| | | **31 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 52 | სანდერლენდი-სიტი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 19:00 | 54 | ასტონ ვილა-ლივერპული | 2.85 | 3.20 | 2.30 | 1.50 | 1.27 | 1.33 |
| 16:30 | 56 | ჩელსი-ტოტენჰემი | 1.45 | 3.60 | 8.00 | 1.03 | 1.22 | 2.48 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 61 | სუონსი-უენსდი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 20:15 | 62 | უოტფორდი-იფსვიჩი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 18:00 | 63 | ბარნსლი-დერბი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 18:00 | 64 | ვულვერჰემპტონი-ნოტინგემი | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 18:00 | 65 | ბრისტოლი-ქპრ | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 66 | ბარნლი-პლიმუთი | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 18:00 | 67 | დონკასტერი-ქოვენთრი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 18:00 | 68 | ნორვიჩი-ბირმინგემი | 3.00 | 3.30 | 2.15 | 1.57 | 1.25 | 1.30 |
| 18:00 | 69 | პრესტონი-ჩარლტონი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 70 | რედინგი-კრისტალ პალასი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 18:00 | 71 | შეფილდი-კარდიფი | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 15:45 | 72 | საუთჰამპტონი-ბლეკპული | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 141 | ჰიბერნიანი-მოზერუელი | 2.05 | 3.20 | 3.25 | 1.24 | 1.25 | 1.61 |
| 18:00 | 142 | სტ.მირენი-აბერდინი | 2.70 | 3.20 | 2.35 | 1.46 | 1.25 | 1.35 |
| 18:00 | 144 | დანდი იუნაიტედი-კილმარნოკი | 1.85 | 3.30 | 3.90 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| 18:00 | 145 | ფოლკირკი-ინვერნესი | 2.10 | 3.20 | 3.15 | 1.26 | 1.25 | 1.58 |
| 18:00 | 146 | ჰამილტონი-ჰარტსი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| | | **31 აგვისტო** | | | | | | |
| 15:30 | 143 | სელტიკი-რეინჯერსი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **29 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 182 | კარლსრუე-კიოლნი | 2.05 | 3.20 | 3.60 | 1.24 | 1.30 | 1.69 |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 17:30 | 178 | შალკე-ბოხუმი | 1.40 | 4.20 | 8.50 | 1.04 | 1.20 | 2.81 |
| 17:30 | 179 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 1.60 | 3.60 | 5.50 | 1.10 | 1.23 | 2.17 |
| 17:30 | 181 | ლევერკუზენი-ჰოფენჰაიმი | 1.80 | 3.30 | 4.35 | 1.16 | 1.27 | 1.87 |
| 17:30 | 183 | კოტბუსი -დორტმუნდი | 3.50 | 3.30 | 2.05 | 1.69 | 1.29 | 1.26 |
| 17:30 | 184 | არმინია-ჰამბურგი | 3.70 | 3.30 | 2.00 | 1.74 | 1.29 | 1.24 |
| 17:30 | 185 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 4.20 | 3.50 | 1.80 | 1.90 | 1.25 | 1.18 |
| | | **31 აგვისტო** | | | | | | |
| 19:00 | 177 | ბაიერნი-ჰერტა | 1.37 | 4.30 | 8.20 | 1.03 | 1.17 | 2.82 |
| 19:00 | 180 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 1.75 | 3.50 | 4.50 | 1.16 | 1.25 | 1.96 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **29 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 189 | ინგოლშტადი-კაიზერსლაუტერნი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 20:00 | 191 | დუისბურგი-აუგსბურგი | 1.60 | 3.60 | 5.30 | 1.10 | 1.22 | 2.14 |
| 20:00 | 192 | მაინცი-ოსნაბრიუკი | 1.40 | 4.00 | 7.50 | 1.03 | 1.17 | 2.60 |
| | | **31 აგვისტო** | | | | | | |
| 16:00 | 187 | ალენი-მიუნხენი 1860 | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 16:00 | 188 | ფრანკფურტი-ფიურტი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 16:00 | 190 | ნიურბერგი-ალემანია | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| 16:00 | 195 | კობლენცი-ვეენი | 1.90 | 3.30 | 3.65 | 1.20 | 1.24 | 1.73 |
| | | **1 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:15 | 193 | ფრაიბურგი-ჰანზა | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **29 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 233 | კაფენბერგი-ალტახი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 21:30 | 231 | ლინცერი-რაპიდი | 2.90 | 3.10 | 2.30 | 1.49 | 1.28 | 1.32 |
| | | **31 აგვისტო** | | | | | | |
| 21:30 | 230 | რიდი-შტურმი | 2.65 | 3.10 | 2.45 | 1.42 | 1.27 | 1.36 |
| 21:30 | 232 | აუსტრია-მატერსბურგი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 19:00 | 234 | აუსტრია კერნტენი-ზალცბურგი | 3.80 | 3.20 | 1.85 | 1.73 | 1.24 | 1.17 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 19:45 | 255 | აარაუ-ბაზელი | 3.00 | 3.30 | 2.25 | 1.57 | 1.28 | 1.33 |
| 19:45 | 256 | ლუცერნი-სიონი | 2.90 | 3.20 | 2.30 | 1.52 | 1.28 | 1.33 |
| | | **31 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 257 | ქსამაქსი-ვადუცი | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 18:00 | 258 | იანგ ბოიზი-გრასჰოპერი | 1.95 | 3.30 | 3.70 | 1.22 | 1.27 | 1.74 |
| | | **1 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:45 | 259 | ციურიხი-ბელინცონა | 1.55 | 3.60 | 6.00 | 1.08 | 1.23 | 2.25 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 273 | უდინეზე-პალერმო | 2.15 | 3.00 | 3.60 | 1.25 | 1.34 | 1.63 |
| 22:30 | 277 | სამპდორია-ინტერი | 4.10 | 3.00 | 1.95 | 1.73 | 1.32 | 1.18 |
| | | **31 აგვისტო** | | | | | | |
| 17:00 | 269 | რომა-ნაპოლი | 1.65 | 3.20 | 6.00 | 1.08 | 1.29 | 2.08 |
| 17:00 | 270 | კიევო-რეჯინა | 2.20 | 2.90 | 3.40 | 1.25 | 1.33 | 1.56 |
| 17:00 | 271 | მილანი-ბოლონია | 1.30 | 4.40 | 10.00 | 1.00 | 1.15 | 3.05 |
| 22:30 | 272 | ფიორენტინა-იუვენტუსი | 2.60 | 3.00 | 2.65 | 1.39 | 1.31 | 1.40 |
| 17:00 | 274 | კატანია-ჯენოა | 2.40 | 3.00 | 2.95 | 1.33 | 1.32 | 1.48 |
| 17:00 | 275 | ტორინო-ლეჩე | 1.85 | 3.10 | 4.50 | 1.15 | 1.31 | 1.83 |
| 17:00 | 276 | კალიარი-ლაციო | 2.70 | 3.00 | 2.65 | 1.42 | 1.33 | 1.40 |
| 17:00 | 278 | ატალანტა-სიენა | 2.00 | 3.00 | 3.90 | 1.20 | 1.32 | 1.69 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 22:00 | 297 | ესპანიოლი-ვალიადოლიდი | 1.80 | 3.20 | 4.50 | 1.15 | 1.28 | 1.87 |
| | | **31 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 290 | ნუმანსია-ბარსელონა | 6.60 | 3.60 | 1.52 | 2.32 | 1.23 | 1.06 |
| 21:00 | 291 | ბილბაო-ალმერია | 2.10 | 3.20 | 3.50 | 1.26 | 1.31 | 1.67 |
| 21:00 | 292 | რასინგი-სევილია | 2.65 | 3.20 | 2.55 | 1.44 | 1.29 | 1.41 |
| 21:00 | 293 | სპორტინგი-ხეტაფე | 2.60 | 3.20 | 2.60 | 1.43 | 1.29 | 1.43 |
| 00:00 | 294 | ვალენსია-მალიორკა | 1.75 | 3.40 | 4.70 | 1.15 | 1.27 | 1.97 |
| 21:00 | 295 | ბეტისი-უელვა | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 21:00 | 296 | ოსასუნა-ვილიარეალი | 2.80 | 3.20 | 2.40 | 1.49 | 1.29 | 1.37 |
| 23:00 | 298 | დეპორტივო-რეალი | 3.50 | 3.20 | 2.05 | 1.67 | 1.29 | 1.24 |
| 21:00 | 299 | ატლეტიკო-მალაგა | 1.47 | 3.60 | 7.00 | 1.04 | 1.21 | 2.37 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 352 | კაენი-პსჟ | 2.75 | 3.00 | 2.60 | 1.43 | 1.33 | 1.39 |
| 21:00 | 353 | გრენობლი-მონაკო | 2.55 | 2.90 | 2.90 | 1.35 | 1.35 | 1.45 |
| 21:00 | 355 | ლორიანი-ოსერი | 1.90 | 3.10 | 4.25 | 1.17 | 1.31 | 1.79 |
| 23:00 | 356 | მარსელი-სოშო | 1.50 | 3.60 | 7.00 | 1.05 | 1.23 | 2.37 |
| 21:00 | 357 | ნანსი-ლე ავრი | 1.80 | 3.10 | 4.80 | 1.13 | 1.30 | 1.88 |
| 21:00 | 358 | ნიცა-ვალენსიენი | 1.85 | 3.20 | 4.25 | 1.17 | 1.28 | 1.82 |
| 21:00 | 361 | ნანტი-ლე მანი | 2.40 | 3.00 | 3.00 | 1.33 | 1.33 | 1.50 |
| | | **31 აგვისტო** | | | | | | |
| 19:00 | 354 | ლილი-ბორდო | 3.00 | 3.00 | 2.40 | 1.50 | 1.33 | 1.33 |
| 23:00 | 359 | სტ.ეტიენი-ლიონი | 3.00 | 3.00 | 2.40 | 1.50 | 1.33 | 1.33 |
| 19:00 | 360 | ტულუზი-რენი | 2.35 | 3.00 | 3.10 | 1.31 | 1.33 | 1.52 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **29 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 390 | ტუბეკუ-ბრიუგე | 6.00 | 3.60 | 1.55 | 2.25 | 1.23 | 1.08 |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 22:00 | 383 | ანდერლეხტი-კორტრაიკი | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| 22:00 | 384 | გენკი-ლოკერენი | 1.65 | 3.30 | 5.20 | 1.10 | 1.25 | 2.01 |
| 22:00 | 385 | სერკლი-მონსი | 1.60 | 3.50 | 5.20 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| 22:30 | 386 | გენტი-შარლერუა | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 22:00 | 387 | დენდერი-მუსკრონი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 22:00 | 388 | მეხელენი-ვარეგემი | 2.10 | 3.30 | 3.20 | 1.28 | 1.26 | 1.62 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 391 | ვესტერლო-ბეერსხოტი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| | | 31 აგვისტო | | | | | | |
| 20:00 | 389 | რუზელარე-სტანდარდი | 4.70 | 3.50 | 1.65 | 2.00 | 1.22 | 1.12 |
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 29 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 410 | ვიტესი-გრონინგენი | 2.35 | 3.30 | 2.90 | 1.37 | 1.29 | 1.54 |
| | | 30 აგვისტო | | | | | | |
| 20:45 | 411 | ტილბურგი-აიაქსი | 4.60 | 3.70 | 1.70 | 2.05 | 1.24 | 1.16 |
| 21:45 | 412 | ნაიმეგენი-გრააფსხაპი | 1.75 | 3.50 | 4.40 | 1.16 | 1.25 | 1.94 |
| 21:45 | 413 | როდა-ტვენტე | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 22:45 | 414 | უტრეხტი-პსვ | 3.70 | 3.30 | 1.90 | 1.74 | 1.25 | 1.20 |
| | | 31 აგვისტო | | | | | | |
| 16:30 | 415 | სპარტა-დენ ჰააგი | 1.95 | 3.30 | 3.60 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| 16:30 | 416 | ჰერაკლესი-ფეიენოორდი | 4.00 | 3.40 | 1.85 | 1.83 | 1.26 | 1.19 |
| 16:30 | 417 | ვოლენდამი-ჰერენვენი | 3.20 | 3.30 | 2.15 | 1.62 | 1.28 | 1.30 |
| 18:30 | 418 | ალკმაარი-ბრედა | 1.80 | 3.40 | 4.10 | 1.17 | 1.25 | 1.85 |
| | | პოლონეთი. I ლიგა | | | | | | |
| | | 29 აგვისტო | | | | | | |
| 22:00 | 476 | პოლონია ვ-სლასკი | 1.70 | 3.30 | 4.80 | 1.12 | 1.25 | 1.95 |
| 19:45 | 477 | ბელხატოვი-ლოძი | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| | | 30 აგვისტო | | | | | | |
| 19:30 | 472 | ოდრა-რუხი | 2.40 | 3.10 | 2.80 | 1.35 | 1.29 | 1.47 |
| 17:15 | 474 | პოლონია ბ-გდანსკი | 2.60 | 3.10 | 2.60 | 1.41 | 1.29 | 1.41 |
| 21:45 | 479 | იაგელონია-პიასტი | 2.00 | 3.20 | 3.70 | 1.23 | 1.29 | 1.71 |
| | | 31 აგვისტო | | | | | | |
| 18:45 | 473 | არკა-ლეხი | 4.00 | 3.20 | 1.80 | 1.77 | 1.24 | 1.15 |
| 21:30 | 475 | კრაკოვია-ვისლა | 4.10 | 3.20 | 1.80 | 1.79 | 1.25 | 1.15 |
| 19:00 | 478 | გურნიკი-ლეგია | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| | | სლოვაკეთი. I ლიგა | | | | | | |
| | | 30 აგვისტო | | | | | | |
| 20:00 | 497 | რუჟომბეროკი-პეტრჟალკა | 2.40 | 3.10 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |
| 19:00 | 498 | სლოვანი-ნიტრა | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| 21:30 | 499 | დუბნიცა-სტრედა | 1.75 | 3.20 | 4.35 | 1.13 | 1.24 | 1.84 |
| 21:00 | 500 | ბ.ბისტრიცა-ზლატე მორავცე | 1.85 | 3.20 | 3.85 | 1.17 | 1.24 | 1.74 |
| 21:00 | 501 | ტრნავა-ტატრანი | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |
| 20:30 | 502 | კოშიცე-ჟილინა | 2.60 | 2.80 | 2.65 | 1.34 | 1.31 | 1.36 |
| | | ხორვატია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 31 აგვისტო | | | | | | |
| 22:00 | 503 | დინამო-ვარტეკსი | 1.25 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.21 |
| 22:00 | 504 | ინტერი-ზადარი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 22:00 | 505 | ხორვატია-ციბალია | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 22:00 | 506 | რიეკა-სლავენი | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 22:00 | 507 | ოსიეკი-ჰაიდუკი | 2.80 | 3.10 | 2.30 | 1.47 | 1.26 | 1.32 |
| 22:00 | 508 | შიბენიკი-ზაგრები | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 30 აგვისტო | | | | | | |
| 19:00 | 520 | ოდენსე-რანდერსი | 1.65 | 3.60 | 5.35 | 1.13 | 1.26 | 2.15 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 31 აგვისტო | | | | | | |
| 19:30 | 521 | ბრიონდბიუ-კოპენჰაგენი | 2.70 | 3.40 | 2.40 | 1.50 | 1.27 | 1.40 |
| 18:00 | 522 | ესბიერგი-ჰორსენსი | 1.80 | 3.50 | 4.20 | 1.18 | 1.25 | 1.90 |
| 15:00 | 523 | ორჰუსი-ნორდსიელანდი | 2.00 | 3.30 | 3.60 | 1.24 | 1.28 | 1.72 |
| 18:05 | 525 | სიონდერიისკე-ოლბორგი | 4.20 | 3.50 | 1.80 | 1.90 | 1.25 | 1.18 |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 524 | მიდტიულანდი-ვეილე | 1.45 | 4.10 | 7.20 | 1.07 | 1.20 | 2.61 |
| | | იაპონია. J ლიგა | | | | | | |
| | | 28 აგვისტო | | | | | | |
| 14:00 | 647 | კაშივა-ტოკიო | 2.00 | 3.30 | 3.40 | 1.24 | 1.25 | 1.67 |
| 14:00 | 648 | კავასაკი-ნიიგატა | 1.70 | 3.50 | 4.50 | 1.14 | 1.23 | 1.96 |
| 14:00 | 649 | ოიტა-კიოტო | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 14:00 | 650 | ომია-იოკოჰამა ფმ | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| | | უეფა. უეფას თასი | | | | | | |
| | | 28 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 21 | მოსკოვი-ლეგია | 1.50 | 3.80 | 5.30 | 1.07 | 1.16 | 2.21 |
| 18:25 | 22 | მიდტიულანდი-სიტი | 4.00 | 3.50 | 1.75 | 1.86 | 1.21 | 1.16 |
| 20:00 | 23 | შმონა-ლიტექსი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 20:00 | 24 | ჰაპოელი თ ა-ვოივოდინა | 1.80 | 3.40 | 3.75 | 1.17 | 1.21 | 1.78 |
| 20:00 | 25 | ზრინსკი-ბრაგა | 3.80 | 3.40 | 1.80 | 1.79 | 1.22 | 1.17 |
| 20:30 | 26 | ბელუპო-არისი | 2.50 | 3.20 | 2.45 | 1.40 | 1.23 | 1.38 |
| 20:30 | 27 | ვიკინგი-ჰონკა | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 20:30 | 28 | ჰერტა-ინტერბლოკი ლუბლიანა | 1.15 | 6.50 | 11.00 | 1.00 | 1.04 | 4.08 |
| 20:30 | 29 | ვასლუი-მეტალურგსი ლ | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| 21:00 | 30 | კალმარი-გენტი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 21:00 | 31 | რუსენბორგი-იურგორდენი | 1.55 | 3.60 | 4.90 | 1.08 | 1.17 | 2.07 |
| 21:00 | 32 | ლილესტრიომი-კოპენჰაგენი | 2.75 | 3.20 | 2.35 | 1.47 | 1.26 | 1.35 |
| 21:00 | 33 | ჩერნო მორე-მაკაბი ნეთანია | 1.95 | 3.25 | 3.20 | 1.21 | 1.21 | 1.61 |
| 21:00 | 34 | ომონია-აეკ | 3.50 | 3.40 | 1.85 | 1.72 | 1.21 | 1.19 |
| 21:30 | 35 | შტურმი-ციურიხი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 21:30 | 36 | ბრიონდბიუ-ჰაკა | 1.20 | 6.00 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.75 |
| 21:30 | 37 | ჟილინა-ლიბერეცი | 2.20 | 3.30 | 2.70 | 1.31 | 1.21 | 1.48 |
| 23:00 | 38 | ასტონ ვილა-ჰაფნარფიორდური | 1.07 | 8.00 | 15.00 | 1.00 | 1.00 | 5.21 |
| 22:45 | 39 | ჰაიდუკი-დეპორტივო | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 22:15 | 40 | ბელინცონა-დნეპრი | 2.70 | 3.30 | 2.25 | 1.48 | 1.22 | 1.33 |
| 22:00 | 41 | გრასჰოპერი-ლეხი | 1.85 | 3.40 | 3.40 | 1.19 | 1.19 | 1.70 |
| 22:00 | 42 | ბეშიქთაში-შიროკი ბრიეგი | 1.15 | 6.50 | 11.00 | 1.00 | 1.04 | 4.08 |
| 22:30 | 43 | რენი-სტაბეკი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 20:30 | 44 | ზალცბურგი-სუდუვა | 1.15 | 6.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.21 |
| 22:30 | 45 | ეტო გიორი-შტუტგარტი | 5.50 | 3.70 | 1.50 | 2.21 | 1.17 | 1.06 |
| 22:00 | 46 | დებრეცენი-იანგ ბოიზი | 2.40 | 3.30 | 2.55 | 1.38 | 1.23 | 1.43 |
| 22:15 | 47 | ცრვენა ზვეზდა-აპოელი ნიქ | 1.40 | 3.90 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.43 |
| 22:45 | 48 | სტ პატრიკსი-ელფსბორგი | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 23:00 | 49 | ნაპოლი-ვლაჟნია | 1.10 | 7.00 | 13.00 | 1.00 | 1.01 | 4.55 |
| | | უეფა. სუპერ თასი | | | | | | |
| | | 29 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 738 | მანჩესტერი-ზენიტი | 1.60 | 3.40 | 5.30 | 1.08 | 1.22 | 2.07 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17021 | მოსკოვი-ლეგია | 1.85 | 1.95 |
| 17022 | მიდტიულანდი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17023 | შმონა-ლიტექსი | 1.85 | 1.95 |
| 17024 | ჰაპოელი თ ა-ვოივოდინა | 1.85 | 1.95 |
| 17025 | ზრინსკი-ბრაგა | 1.85 | 1.95 |
| 17026 | ბელუპო-არისი | 1.85 | 1.95 |
| 17027 | ვიკინგი-ჰონკა | 1.85 | 1.95 |
| 17028 | ჰერტა-ინტერბლოკი ლუბლიანა | 1.85 | 1.95 |
| 17029 | ვასლუი-მეტალურგსი ლ | 1.85 | 1.95 |
| 17030 | კალმარი-გენტი | 1.85 | 1.95 |
| 17031 | რუსენბორგი-იურგორდენი | 1.85 | 1.95 |
| 17032 | ლილესტრიომი-კოპენჰაგენი | 1.85 | 1.95 |
| 17033 | ჩერნო მორე-მაკაბი ნეთანია | 1.85 | 1.95 |
| 17034 | ომონია-აეკ | 1.85 | 1.95 |
| 17035 | შტურმი-ციურიხი | 1.85 | 1.95 |
| 17036 | ბრიონდბიუ-ჰაკა | 1.85 | 1.95 |
| 17037 | ჟილინა-ლიბერეცი | 1.85 | 1.95 |
| 17039 | ჰაიდუკი-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17040 | ბელინცონა-დნეპრი | 1.85 | 1.95 |
| 17041 | გრასჰოპერი-ლეხი | 1.85 | 1.95 |
| 17043 | რენი-სტაბეკი | 1.85 | 1.95 |
| 17044 | ზალცბურგი-სუდუვა | 1.85 | 1.95 |
| 17045 | ეტო გიორი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17046 | დებრეცენი-იანგ ბოიზი | 1.85 | 1.95 |
| 17047 | ცრვენა ზვეზდა-აპოელი ნიქ | 1.85 | 1.95 |
| 17048 | სტ პატრიკსი-ელფსბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17738 | მანჩესტერი-ზენიტი | 1.85 | 1.95 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11021 | მოსკოვი-ლეგია | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11022 | მიდტიულანდი-სიტი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11023 | შმონა-ლიტექსი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11024 | ჰაპოელი თ ა-ვოივოდინა | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11025 | ზრინსკი-ბრაგა | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11026 | ბელუპო-არისი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11027 | ვიკინგი-ჰონკა | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11029 | ვასლუი-მეტალურგსი ლ | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11030 | კალმარი-გენტი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11031 | რუსენბორგი-იურგორდენი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11032 | ლილესტრიომი-კოპენჰაგენი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11033 | ჩერნო მორე-მაკაბი ნეთანია | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11034 | ომონია-აეკ | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11035 | შტურმი-ციურიხი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11036 | ბრიონდბიუ-ჰაკა | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11037 | ჟილინა-ლიბერეცი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11039 | ჰაიდუკი-დეპორტივო | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11040 | ბელინცონა-დნეპრი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11041 | გრასჰოპერი-ლეხი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11043 | რენი-სტაბეკი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11045 | ეტო გიორი-შტუტგარტი | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11046 | დებრეცენი-იანგ ბოიზი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11047 | ცრვენა ზვეზდა-აპოელი ნიქ | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11048 | სტ პატრიკსი-ელფსბორგი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11738 | მანჩესტერი-ზენიტი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# შხაპი და მასაჟი ბეიძინში

**თითებზე** ჩამოსათვლელი დღეებია, რაც პეკინის XXIX ზაფხულის ოლიმპიური თამაშები ისტორიას ჩაბარდა. თამაშები, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა, როგორც ორგანიზაციული, ისე უშუალოდ სპორტული ბატალიების თვალსაზრისით და რაც ჩვენთვის მთავარია, საქართველოს ოლიმპიური გუნდისთვისაც წარმატებული გამოდგა.

მაშინ როდესაც მსოფლიოში ახლახან დასრულებული ოლიმპიადით გამოწვეული ციებ-ცხელება ჯერ არ განელებულა, ალბათ, უპრიანი იქნება, პეკინზე, თამაშების ორგანიზაციულ მხარესა და ჩვენი სპორტსმენების მონაწილეობაზე ორიოდ სიტყვა კიდევ ვთქვათ და ერთგვარი შეფასება მოვახდინოთ.

ქართველი ათლეტების გამოსვლით დავიწყოთ. აქამდეც არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ ჩინეთში ნაჩვენები შედეგის მხრივ სასაყვედურო ნამდვილად არაფერი გვაქვს. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის დევიზიც გამართლდა: „უკეთ, ვიდრე ათენში", ოლიმპიურ სოფელში მყოფთა შრომაც დაფასდა და ჩვენი ოლიმპიელებიც სამშობლოში თავაწეულნი დაბრუნდნენ.

3 ოქროსა და ამდენივე ბრინჯაოს მედლით ოლიმპიადის მონაწილე 204 სახელმწიფოს შორის დაკავებული 27-ე ადგილი ურიგო შედეგი ნაღდად არ არის და აქვე დავძენ, რომ ამ მაჩვენებლით ევროპის ქვეყნებში 15-ე პოზიციაზე ვართ. მედლების რაოდენობით 29 ქვეყანა გვისწრებს, სულ კი მედალოსანი სპორტსმენი 81 სახელმწიფოს ჰყავს.

პეკინურ რეპორტაჟებში ვწერდი, რომ ყოფილი პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ხარისხობრივად მხოლოდ რუსეთმა, უკრაინამ და ბელარუსმა გვაჯობა, ხოლო მედლების სიმრავლით აზერბაიჯანმაც გადაგვისწრო (7 მედალი). ჩვენსავით 6 მედალი დააგროვეს არგენტინამ, შვეიცარიამ, სომხეთმა, უზბეკეთმა...

დამოუკიდებელი ქართული სპორტის ისტორიაში ეს იყო ჩვენი სპორტსმენების მიერ ნაჩვენები საუკეთესო შედეგი, თუმცა მიუხედავად ამისა, დასანანია, რომ უფრო მეტის მიღწევაც შეიძლებოდა და ვერ შევძელით, თორემ აუგის სათქმელად ენა, აბა, ვის მოუბრუნდება.

მოკრძალებული წვლილი, ვინძლო, სპორტულ მედიასაც მიგვიძღვის. თამაშებზე აკრედიტებული ქართველი ჟურნალისტებისთვის, დელეგაციის პრესატაშე გიორგი ჭანიშვილთან ერთად, განსაკუთრებით მძიმე ის დღეები გამოდგა, როდესაც რუსეთის აგრესია კულმინაციას აღწევდა...

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ პეკინში 17 მილიონი ადამიანი ცხოვრობს და როგორც გვითხრეს, ყოველთვიურად ქალაქში 2 მილიონი კაცი ჩამოდის და გადის, თუმცა ამ რაოდენობაში არ იგულისხმება სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ტურისტები.



ოლიმპიადის მსვლელობისას პეკინის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ადგილობრივი ხელისუფლების ბრძანებით ქალაქიდან გაიყვანეს, ხოლო იმის გამო, რომ ქუჩებში საცობები არ შექმნილიყო, ვინც დარჩა, იმათაც ქალაქში მანქანებით გამოსვლა დღეგამოშვებით ებრძანათ. ამის დარეგულირება კი მანქანის ნომრების მიხედვით ხდებოდა — ერთ დღეს კენტნომრიანი, ხოლო მეორე დღეს ლუწნომრიანი მანქანები მოძრაობდნენ. ამ კანონის დარღვევისთვის სოლიდური ჯარიმა იყო დაწესებული. ისე კი მეეჭვება, რომელიმე პეკინელი ამ წესს არ დამორჩილებოდა და არა მხოლოდ ჯიბის შეთხელების გამო: ჩინელები საოცრად კანონმორჩილი და დისციპლინის მოყვარული ხალხია და ამაში დარწმუნება ძნელი სულაც არ ყოფილა.

ისიც საგულისხმოა, რომ ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე თითქმის ერთი თვის განმავლობაში ტელევიზიით ყოველ 15 წუთში გადიოდა რეკლამა — მითითება, სადაც საორგანიზაციო კომიტეტი და ხელისუფლება მოსახლეობას მოუწოდებდა ქუჩაში დაეცვათ სისუფთავე, არ გადაეფურთხებინათ, ყოველ დილით ქალაქში გამოსვლამდე მიეღოთ შხაპი, განსაკუთრებით კი ტაქსის მძღოლებს.

კიდევ ის, რომ პეკინში და საერთოდ ჩინეთში ოპოზიციური აზრის გამოთქმა იკრძალება, არ არსებობს ოპოზიციური ტელევიზია და არც სატელევიზიო პოლიტიკური ტოკ-შოუები. CCTV-1-დან 10-მდე — ეს არის ჩინური ტელეარხები, რომელსაც ხელისუფლება აკონტროლებს.

ჩინეთის პროვინციების შესახებ ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ზოგადად პეკინს, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ბეიძინად" მოიხსენიებს, კომუნისტურისა არაფერი ეტყობა. ვგულისხმობ ინფრასტრუქტურას, ცათამბჯენებს, 7-ვარსკვლავიან სასტუმროებს, გასართობ დაწესებულებეს... ერთადერთი იმან გამაკვირვა, რომ პეკინში საღამოს 10-11 საათის შემდეგ მანქანებიც კანტი-კუნტად მოძრაობენ და ქუჩაში ხალხიც საგრძნობლად შეთხელებულია. ამ დროს ქუჩაში თუ ვინმეს გადაეყარე, უცილობლად ახალგაზრდა ქალი იქნება, რომელიც დაჟინებით გთავაზობს მასაჟის გაკეთებას...

გაკვირვებული დავრჩი ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციულობით. საქმისადმი იმ პროფესიული და პასუხისმგებლური მიდგომით, რაც მასპინძლებმა გამოიჩინეს. უმაღლეს დონეზე იყო მოგვარებული უსაფრთხოების საკითხიც. ასე მაგალითად, სხვადასხვა სპორტულ ობიექტებზე ან პრესცენტრში შესვლისას, ხელში ბოთლი წყალი ან რაიმე სხვა მინერალური სასმელი თუ გეჭირა, აუცილებლად მოგთხოვდნენ ერთი ყლუპი მაინც მოგესვა. თამაშების გახსნისა და დახურვის ცერემონიალზე კი სანთებელის ან ასანთის შეტანაც იკრძალებოდა.

ტრანსპორტსა და არენებზე კონდიცირება ისეთი იყო, რომ ხალხი „გასათბობად" გარეთაც გამოდიოდა. მოკლედ, ლონდონს დიდი თავსატეხი გაუჩნდა — როგორ უნდა აჯობონ პეკინს. აკი, მითხრა კიდევაც ერთმა ინგლისელმა ჟურნალისტმა, მეეჭვება, ჩვენც ყველაფერი ასეთივე დონეზე გავაკეთოთო. სხვათა შორის, რომ გაიგო საქართველოდან ვიყავი, გიორგი ქინქლაძის ქებით დაიხარჯა.

მოკლედ ჩინელი ხალხის შრომისმოყვარეობით, წეს-კანონის მიმართ უზენაესი დამოკიდებულებით და ბევრი სხვა დეტალით გაოცებული დავრჩი.

ოთხი წელიწადიც მალე გაირბენს და ვნახოთ, როგორ დაუხვდება ნისლიანი ალბიონი მსოფლიოს უმთავრეს სპორტულ ფორუმს.

**ბაჩა ბერიძე**

*პეკინი -თბილისი*







# ზაზა კედელაშვილმა ოლიმპიადა წყალს გააყოლა

## ქართველი ევროპის ჩემპიონი ვალს ლონდონში დაიბრუნებს

ქართველი ოლიმპიელების დელეგაცია სამშობლოში დაბრუნდა, თუმც სპორტსმენთა ნაწილმა ნაადრევად მოაშურა საქართველოს. მათ შორის, ძიუდოისტებიც იყვნენ, გარდა ოლიმპიურ ჩემპიონ ირაკლი ცირეკიძისა. იქამდე ჩამოვიდა ევროპის სამგზის ჩემპიონი ძიუდოისტი ზაზა კედელაშვილიც, ვინც ოლიმპიადაზე ქართველთაგან ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად განიხილებოდა. მაგრამ ქვეყანაში შექმნილმა მდგომარეობამ კვალი მის ჭიდაობასაც დაატყო. უფრო დეტალურად ამ ამბებს კედელაშვილი თვითონ გვიყვება...

— ჩემი ჭიდაობის წინა ღამით ქვეყნის პირველი ლედი სანდრა რულოვსი და კულტურისა და სპორტის მინისტრი ნიკა ვაჩეიშვილი მოვიდნენ და ითქვა, რომ საქართველოში უნდა დავბრუნებულიყავით ცნობილი მოვლენების გამო. ისედაც წონის პრობლემა მქონდა და სულ რეჟიმში ვიყავი, ამიტომ თავს უფლება მივეცი, წყალი დამელია, რამაც წონაში მომამატებინა. არადა, იქამდე 66 კილო ვიყავი. სითხის მიღების შემდეგ ერთბაშად 2,4 კილო მოვიმატე და ერთ საათში გვითხრეს, რომ ოლიმპიადაზე ვრჩებოდით. ჯერ პირლებინებით მომიწია წონის დაკლება, თუმც ეს საკმარისი არ იყო კიდევ 1,2 კილო მქონდა დასაკლები და მთელი ღამე დავრბოდი. დილით 7 საათზე აწონვა იწყებოდა. იმ დროისთვის ჩემს წონას კი დავუბრუნდი, მაგრამ უკვე გამოფიტული ვიყავი. თანაც სულ საათ-ნახევარი მეძინა. ამ ყველაფერს ნერვიულობაც დაემატა, საქართველოდან ცუდი ამბები მოდიოდა. როცა თქვეს, მივდივართო, მინდოდა კიდეც წამოსვლა... ჩვენს ოჯახებზე ვფიქრობდით.

— უნგრელი მიკლოშ უნგვარი ევროპის ჩემპიონატის ფინალში გყავდა დამარცხებული. პეკინში რა მოგივიდა?

— კი, ასე იყო, კარგი ძიუდოისტია. როცა ტატამზე გავედი, ვგრძნობდი, ენერგია მქონდა და ვიგებდი კიდეც, მაგრამ ორი წუთის შემდეგ საშინელი სისუსტე დამეუფლა, თითები არ მემორჩილებოდა და მხოლოდ იმას ვფიქრობდი, დაცემის მერე ადგომა მომეხერხებინა. მიუხედავად ყველაფრისა, მხოლოდ საკუთარ თავს ვადანაშაულებ. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა სპორტსაც დაატყო კვალი.. გული მწყდება, რომ უმედლოდ დავრჩი. არადა, კენჭისყრით შედარებით იოლი ბადე შემხვდა და შემეძლო კიდეც ფინალში გასვლა, მაგრამ რას ვიზამ, ყველაფერი ხდება.

— გულშემატკივარი სხვებთან ერთად შენც ჩემპიონობის მთავარ ფავორიტად გთვლიდა...

— ვიცი და ძალიან განვიცდი, რომ ეს ვერ მოვახერხე. ამდენი ხანი ოლიმპიადისთვის ვემზადებოდი... ყველაფერი ჩავდე, თავს არ ვზოგავდი, რომ ოლიმპიადას სასურველ ფორმაში შევხვედროდი. ყოველმხრივ კარგად ვიყავი მომზადებული, მაგრამ.. ახლა უფრო მონდომებული გავაგრძელებ ვარჯიშს, ქართველი ხალხი რომ გავახარო. საამისოდ მართლა ყველაფერს გავიღებ. ასაკიც ხელს მიწყობს, რომ ლონდონის ოლიმპიადაზე ვიფიქრო და ღვთის მადლით, ყველაფერი კარგად იქნება.

— უკვე დიდი ხანია, რაც წონის პრობლემა გაქვს და ოლიმპიადის შემდეგ 73 კილოში აპირებდი გამოსვლას. წონას შეიცვლი?

— კი ვფიქრობდი, მაგრამ ახლა წესები იცვლება. აწონვა ჭიდაობის წინა დღით მოხდება, ეს საშუალებას მაძლევს, რომ წონა უფრო ადვილად ვაკონტროლო. მართალია, იოლი არ იქნება, მაგრამ ჩემს წონაში ვრჩები. მირჩევნია, აქ გამოვიდე. ყველას კარგად ვიცნობ და 66 კილოში ჭიდაობას მიჩვეული ვარ.

**ნიკა ძოწაძე**



# რატი თავდაცვაზე ვარჯიშობს

## ისლანდიაში რუსებს პოლონელებმა და ლატვიელებმა პროტესტი მოუწყვეს

ქართულ ხელბურთში შესვენებაა. საქართველოს ჩემპიონატის დაწყებამდე ჯერ ადრეა. მეორე საკითხია, როდის და როგორ დაიწყება პირველობა და საერთოდ, რამდენი გუნდი ითამაშებს. ეროვნულ ნაკრებს შემოდგომაზე, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ელის და, რა თქმა უნდა, ჯერ იმაზე საუბარიც არაა, ზუსტად როდის გადავა ნაკრები მოსამზადებელ ეტაპზე. დაგვრჩა ლეგიონერები და ჩვენც ისლანდიაში „სტირნანის“ ხელბურთელ რატი მსხვილიძეს შევეხმიანეთ, ვინც ნაკრების ერთ-ერთი ლიდერიცაა...



— სტუდენტურ ჩემპიონატზე თამაშისას ტრავმა მივიღე; მყესი გამეჭიმა, თუმც ახლა მთელი დატვირთვით ვვარჯიშობ. კლუბში კი ახლახან ამხანაგური ტურნირი მოვიგეთ. ექვსი გუნდი ორ ჯგუფად იყო დაყოფილი, ოთხი თამაში მოგვიწია და ყველაში გავიმარჯვეთ. ჩემი თავითაც კმაყოფილი ვარ. მინიმუმ 40 წუთი მიწევდა თამაში და საშუალოდ 4-5 ბურთი გამქონდა.

— მწვრთნელები რას გეუბნებიან, მოსწონთ შენი თამაში?

— კმაყოფილები არიან. ახალ სეზონში უფრო მეტს ელიან ჩემგან. ცოტა დაცვაში მაქვს ხარვეზები და ამაზე მავარჯიშებენ. მეც ვგრძნობ, რომ მოვუმატე და კიდევ უფრო კარგად ვთამაშობ.

— ჩემპიონატი როდის გეწყებათ?

— სექტემბრის შუა რიცხვებში, თუმცა მანამდე რეიკიავიკის ტურნირი ჩატარდება და იქ ვითამაშებთ. ეს ჩვენი ბოლო შეკრება იქნება, მალევე ჩემპიონატში გვეწყება. სერიოზული კონკურენციაა, მეორე ლიგიდან ორი გუნდი გადმოვიდა, ვეთამაშეთ და კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. სულ ჩემპიონატში შვიდი გუნდი იქნება და იოლად ვერავის მოვუგებთ.

— ხელმძღვანელობამ რა დაგისახათ მიზნად?

— მხოლოდ ჩემპიონობა და თასის მოგება, სხვა შედეგი წარუმატებლად შეფასდება. თუმც იოლი არ იქნება, ყველა სერიოზული კონკურენტია.

— შემადგენლობა თუ გაძლიერდა, ვინმე დაიმატეთ?

— სამი კაცი მოვიდა. ყველა ისლანდიელია. ერთი დანიიდან დაბრუნდა, ორიც ადგილობრივი გუნდებიდან.

— ისლანდიის ხელბურთელთა ნაკრები ოლიმპიადის ფინალში გავიდა. რა გამოხმაურება მოჰყვა ამ ამბავს?

— მაგრად უხარიათ. ასეთი რამ პირველად მოახერხეს. დღეს ჩამოდის ისლანდიის დელეგაცია და ყველა წავიდა მათ დასახვედრად.

— საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე როგორი რეაქცია ჰქონდათ ისლანდიელებს?

— ძალიან შეწუხდნენ. რუსეთის საელჩოსთან აქცია გაიმართა. ისლანდიელების გარდა ლატვიელები და პოლონელებიც მივიდნენ. ბუნებრივია, ქართველებიც იქ იყვნენ.

— თბილისში როდის ჩამოდიხარ, ნაკრებს ხომ ევროპის შესარჩევი ელის?

— 25 ოქტომბერს მელოდებიან. მაგ დროს ისლანდიის ჩემპიონატში შესვენებაა და მანდ ვიქნები.

**ნიკა ძოწაძე**



# ქართველებმა მვრაზია დაჩოგნეს

**ჰოლანდიის** ქალაქ ფლარდინგენში საჩოგბურთო ტურნირზე ქართველი მაკა ჩახნაშვილი პირველ ნომრად იყო განთესილი, მაგრამ, რად გინდა, საწყის წრეშივე მარცხი განიცადა მასპინძელ მერიოტ მედენსთან, რომელიც რეიტინგში 488 ნომერია. მაკამ მატჩი 7:5; 3:6; 6:7 დათმო და წყვილებშიღა მოუწევს ჩაუქობა, სადაც არგენტინელ ფლორენსია მილინეროსთან არის შეამხანაგებული და მოიგო კიდეც პირველი თამაში ფრანგი შოეფერისა და ჰოლანდიელი შოფსის დუეტთან — 6:2; 7:5. მომდევნო წრეში მასპინძლებს ტიგურასა და ფეტენგერს დაუპირისპირდებიან.

ამასობაში ავსტრიაში სოფო ქვაცაბაიამ მეორე წრეში შვეიცარიელ ნიკოლა სინერთან 0:6; 1:6 უშანსოდ წააგო.

იქვე ჩოგნაობს ეკატერინე გორგოძე, და ვერც მან გაახერხარა რამე სახეირო, დამარცხდა რა იტალიელ ანალიზა სონასთან 4:6; 6:3; 3:6.

ახლა ქართველები ერთად ცდიან ძალებს, პირველ წრეში დაისვენებენ და მერე ავსტრიელებს ჰელვიკსა და ემენშიცს გაეჯიბრებიან.

ევროპიდან აზიაში გადავინაცვლოთ და ჩვენი პირველი ნომრის, ირაკლი ლაბაძის, ამბები ვთქვათ, ვინც ალმათაში სლოვაკ მარეკ ჟემჟანს 7:5; 6:3 მოუგო და 5 სარეიტინგო ქულად დააგროვა. ლაბაძის მომდევნო მეტოქე, გერმანელი ალექსანდერ ფლოკი იქნება და გამარჯვების შემთხვევაში, 13 სარეიტინგო ქულასაც მიიღებს. ალმათის საჩოგბურთო ტურნირის საპრიზო ფონდი 55 ათასი დოლარია.

**ნიკა ძოწაძე**

პირველად ქართული საწყალოსნო სპორტის სახეობათა ისტორიაში, „ლაგუნა-ვერეს“ საწყლოსნო სპორტკომპლექსში ფუნქციონირებას იწყებს წყალბურთელთა სპორტული კლუბი „ივერია“. მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან, სავარჯიშოდ ვიწვევთ ცურვასა და წყალბურთში 6-12 წლის ასაკის ბავშვებს.

მათი პედაგოგები იქნებიან მაღალკვალიფიცირებული მწვრთნელები, წარსულში სახელოვანი მოცურავეები და წყალბურთელები — ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების, საერთაშორისო და საკავშირო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებულები.

ამასთან ერთად განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები და წარმატებული სპორტსმენები ნაწილობრივ ან მთლიანად განთავისუფლდებიან სააბონენტო გადასახადებისაგან.

წყალბურთის სპორტული კლუბი „ივერიას“-ს გამგეობა

# 10 ოლიმპიური სკანდალი

უნაკლო ორგანიზების დამსახურება იყო, თუ ხალხს, უბრალოდ, ამოეწურა სკანდალების ატეხვის სურვილი, პეკინის ოლიმპიადამ, ამ მხრივ, დიდი აჟიოტაჟის გარეშე ჩაიარა. ამერიკულმა სუპერსაიტმა YAHOO-მ საიდანღაც მაინც მოაგროვა 10 მინისკანდალი და დასურათებული შემოგვთავაზა. ამ ათეულში უეჭველად შესაყვანი იყო 96 კილოგრამამდე თავისუფალი ჭიდაობის ნახევარფინალი, სადაც ყაზახეთის სახელით მოჭიდავე ნაძირალა თეიმურაზ ტაგიევი ქართველ გიორგი გოგშელიძეს ტრავმიან და მძიმედ დაბინტულ თვალ-წარბზე დაუფარავად ურტყამდა ხელს, რაზეც მან გორელი ბიჭისგან ქართულ-მამაპაპური პასუხი მიიღო. მაგრამ, როგორც ჩანს ამერიკელები იშვიათად სტუმრობენ თავისუფალ მოჭიდავეთა ტურნირებს და ეს ამბავი როგორღაც გამოეპარათ.




100 მეტრზე სირბილის რეკორდის მომგებმა უსაინ ბოლტმა 200-ზეც ზუსტად იგივე რომ „ჩაიდინა“ და კიდევ ერთხელ დიდი ტაშ-ფანდური რომ გამართა, მანამდე მისი ანცობის უტყვად მაცქერალმა ჟაკ როგმა საქვეყნოდ გაკიცხა — ოლიმპიურ ჩემპიონს ბავშვური ქცევა არ შეშვენისო, მაგრამ სოკ-ის უფალის გაფრთხილება 22 წლის დაუდეგარმა იამაიკელმა ორ ყურში გაატარა და ორიოდ დღეში ესტაფეტის მოგების შემდეგაც იქვე, სარბენ ბილიკზე ამოალაგა, რაც გულში ედო.




კრივში 54 კილოგრამამდე წონის მეორე ეტაპზე რუსი სერგეი ვოდოპიანოვისა და ინდოელი ახილ კუმარის შეხვედრა 9:9 დასრულდა, მსაჯებმა კი თავიანთი უფლება გამოიყენეს და გამარჯვებულად ინდუსი გამოაცხადეს, რასაც რუსის ისტერიკა მოჰყვა.



ჩინელმა ტანმოვარჯიშეებმა გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს და თავიანთ ოსტატობაში არავინ დაუეჭვებიათ. საეჭვო სულ სხვა რამაა — მათი ასაკი. ჩინელ გოგონათა იერი და მათ სპორტულ ბარათში ჩაწერილი დაბადების თარიღი სწორედაც რომ დაგაეჭვებს ამ ბარათების შემდეგენლთა პატიოსნებაში.




ოლიპიადის დაწყებამდე ესპანეთის საკალათბურთო ნაკრებმა „მარკაში“ გამოქვეყნებული ამ ფოტოთი ამცნო მსოფლიოს, რომ ყურადღებას არ მიაქცევდა პეკინში სპორტსგარე მოვლენებს და მხოლოდ თამაშზე იფიქრებდა. არაესპანურმა პრესამ კი მათ ერთგვარად ბრალი დასდო — ეგენი ჩინეთში ადამიანის უფლებების დარღვევას უყურებენ და თვალს ხუჭავენო. მოგვიანებით, ერთ-ერთმა ესპანელმა მობურთალმა, ხოსე კალდერონმა თქვა, დიდ პატივს ვცემთ ჩინელებსაც და სხვა აზიელ ხალხსაცო, არც ძალიან ჰგავდა ბოდიშის მოხდას.



84 კილოგრამამდე წონაში ბერძნულ-რომაულად მოჭიდავე შვედმა არა აბარაჰამიანმა ბრინჯაოს მედალი კი დაიმსახურა, მაგრამ კისერზე დაკიდეს თუ არა, მაშინვე პოდიუმიდან ჩამოვიდა, მედალი მოიხსნა და იქვე ხალიჩაზე დატოვა. თურმე შვედი მსაჯების მიმართ პროტესტს გამოხატავდა, რომლებმაც მისი რწმენით, ნახევარფინალში იტალიელ ანდრეა მინგუცისთან წააგებინეს.



კაცთა 100 მეტრი ბატერფლაის ფინიშზე ამერმიკელი მაიკლ ფელპსი აშკარად ჩამორჩებოდა სერბ მილორად კავიჩს, მაგარმ კედელზე ხელის მირტყმა 0,01 წამით დაასწრო და მორიგი ოქროს მედალი მოიპოვა. კავიჩის მწვრთნელმა სცადა სკანდალის ატეხვა — აქაოდა, ფელპსმა თავისი სარეკორდო გეგმა (8 ოქრო ერთ ოლიმპიადაზე) რომ შეასრულოს, გამრჯვებას ჩუქნით და ჩემს შეგირდს ჩაგრავთო, მაგრამ მალევე ჩააჩუმეს, რაკილა, როგორც გაირკვა, საყვირალი ბევრიც არა იყო რა.




ამერიკელი ტანმოვარჯიშე მართა კაროლი მსაჯთა შეფასებამ ჯერ გააოგნა და მერე გააგულისა. ყვირილსაც აპირებდა, მწვრთნელს რომ არ ჩაეჩუმებინა.



ბეისბოლში კუბას და აშშ-ს შორის შეხვედრაში მავანმა კუბელმა პიტჩერმა ბურთი პირდაპირ სახეში სთხლიშა ამერიკელ მომგერიებელ ჯესონ ნიქსს. წარბგახეთქილი და ცალთვალდავსებული ნიქსი ტყვიანაკრავივით დაეცა, ჩინურ მიწას ამერიკული სისხლი აპკურა და აღარც უთამაშია.



1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადაზე შვიდი ოქროს მომგებმა მარკ სპიცმა სხვებთან ერთად წააქეზა მაიკლ ფელპსი, რვა ოქრო მოიგე და ჩემი რეკორდი გააუმჯობესეო. ფელპსმა გააკეთა თავისი გასაკეთებელი, სპიცი კი ნაწყენი დარჩა, მაგრამ არა რეკორდის დაკარგვის გამო — თურმე ლეგენდარულ მოცურავეს პეკინიდან სპეცმოსაწვევი არ აღირსეს.



კაცთა ჩოგბურთის ნახევარფინალში ამერიკელი ჯეიმს ბლეიკის დარტყმული მისი მოწინააღმდეგის, ჩილელი ფერნანდო გონსალესის ჩოგანს შეეხო და ისე გადავიდა კორტიდან, მაგრამ მსაჯმა ვერაფერი დაინახა და ქულა ჩილელს ჩაუთვალა. ბლეიკი კოშკურაზე შემომჯდარ არბიტრს ჯერ არწმუნებდა, მერე კი ანამუსებდა, მაგრამ უშედეგოდ. საბოლოოდ, მან 1:2 წააგო ნახევარფინალში და მერე სერბ ნოვაკ ჯოკოვიჩთან თამაშში ბრინჯაოც აღარ შერჩა.

US OPEN 2008. ჰარდი. 25 აგვისტო-7 სექტემბერი. საპრიზო 15 900 000 დოლარი

# როჯერ ფედერერი: ისევ ის ბიჭი ვარ


როჯერ ფედერერი

**დიდებულად** დაწყებული მატჩი ანა ივანოვიჩს ლამის კატასტროფად შეუბრუნდა. სერბ ლამაზმანს ვერა დუშევინასთან შეხვედრაში იოლად შეეძლო საქმის მოთავება, მაგრამ მეორე სეტში უიოლესი დარტყმა გააფუჭა, რითაც რუსს შანსი მისცა და ამაზე კინაღამ ცხვირიც წაიტეხა. თუნმ ანამ დროულად მოასწრო ჭკუაზე მოსვლა და დუშევინა მაინც ჩემოდნების ჩასალაგებლად გაუშვა.

ისე, ივანოვიჩის სათამაშო ფორმა ჯერ კიდევ ტურნირის წინ ბადებდა კითხვებს — სხვადასხვა ტრავმების გამო ანას ძალიან ბევრი გაუცდა და შეიძლება ითქვას, მოგებული „როლან გაროსის“ შემდეგ ხეირიანად თამაში არ დასცალდა. მაგრამ გუშინდელი მატჩი სერბმა სასწაული ალმაფრენით დაიწყო და ისეთი კოხტა ჩოგბურთი გააჩაღა, ვინც უყურებდა, ეჭვი არ შეჰპარვია, რომ კორტზე მსოფლიოს პირველი ჩოგანი იდგა. თუმც მეორე სეტში ანას დაღლა დაეტყო, რაც მისი ნაკლები სათამაშო პრაქტიკის ბრალია. ამას კი რამდენიმე ბრიყვული შეცდომა, უზომოდ გაჭიანურებული მატჩი და ნერვების თამაში მოჰყვა. თუმც ბალკანელმა ამ ზეწოლას გაუძლო და დუშევინა ბოლოსკენ მაინც გატეხა.

„უთამაშებლობა აშკარად მეტყობოდა. მაგრამ იმედია ნელ-ნელა მოვუმატებ და კიდევ ერთი-ორი თამაშის შემდეგ ფორმაშიც შევალ“ — განაცხადა ნამატჩევს ივანოვიჩმა.

სერბისგან განსხვავებით, ძალიან ადვილად იხეირეს აშშ-ს ღია პირველობის ორ-ორგზის ჩემპიონებმა და წლევანდელი გათამაშების ალბათ უმთავრესმა ფავორიტებმა, შავდა უილიამსებმა. ვინუსმა და სერენამ ერთნაირ სტილში, ჩვეული ძალიასმიერი და ზეაგრესიული ჩოგბურთით უშანსოდ დატოვეს, შესაბამისად სამანტა სტოსური და კატერინა ბონდარენკო და მეორე წრეს დამაჯერებლადაც უწიეს. ისე, ვერავინ იტყვის შავდები იდეალურ ფორმაში არიანო, მაგრამ წარმატების მისაღწევად მათთვის დღევანდელი მდგომარეობაც საკმარისია, თანაც ცნობილი ფაქტია, რომ ტურნირის მიმდინარეობისას ორივეს შეუძლია მომატება.

„მადლობა ღმერთს, რომ არანაირი ტრავმა არ მაწუხებს. მთავარია, ამ მხრივ ვიყოთ დაზღვეულები, დანარჩენი კი უკვე ჩვენზეა დამოკიდებული“ — თავისი და უმცროსი დაიკოს პოზიცია გაახმოვანა ვინუსმა.

შავდები ფავორიტები კი არიან, მაგრამ შიდაოჯახური ფინალი (როგორც წლევანდელ უიმბლდონზე) ნიუ იორკში მაინც არ იქნება — წილისყრამ ვინუსი და სერენა ისე გაანაწილა, რომ, სავარაუდოდ ისინი ერთმანეთს უკვე მეოთხედფინალში უნდა დაეტაკონ, რაც დანარჩენებისთვის გვარიანი შვება უნდა იყოს.

წარმატებული სტარტი აიღო ტიტულის კიდევ ერთმა პრეტენდენტმა, სეზონის მთავარმა აღმოჩენა დინარა საფინამ. ისე, გუშინ საფინების დღე იყო, რადგანაც მარატმაც იხეირა. თუმც დღეისთვის ძმის ამბიციები და სათამაშო ფორმა უმცროსი დის კონდიციებთან ახლოსაც ვერ მივა — დინარამ მასპინძელ კრისტი ანის გადაუარა და მისთვის ეს მხოლოდ რიგითი გამარჯვება გახლდათ, რადგანაც მინიმუმ ნახევარფინალს უმიზნებს. სხვათა შორის, მარატმაც მასპინძელ ვინსენტ სპადეას მოუგო, მაგრამ რის ვაი-ვაგლახით და დისგან განსხვავებით, დიდი სასწაული უნდა მოხდეს, მეორე წრეს მაინც რომ გასცდეს.

ოთხწელნახევრიანი უპირობო ლიდერობის შემდეგ რეიტინგის მეორე ადგილზე ჩამოქვეითებულმა როჯერ ფედერერმა თავისი პირველი მატჩი გამართა და ძალიან წარმატებულადაც. მეტად სასიამოვნო გახლდათ ძველებური „მხიარული როჯერის“ ხილვა — მეხუთე ამერიკული სლემტიტულისკენ სვლა შვეიცარიელმა თავისი ნარ-ნარი და ლაზათიანი ჩოგნაობით დაიწყო. მაქსიმო გონსალესმა პირველი სეტის ხუთი გეიმი გაძლო და მერე ბრინჯივით დაიბნა, უფრო სწორად კი ალპელმა გააქრო კორტიდან და ზედიზედ 10 გეიმის მოგებით მატჩის ბედი გადაწყვიტა კიდეც.

და როგორ გრძნობს ფედერერი თავს მეორი ნომრის სტატუსში?

„პრინციპში პირველ და მეორე ნომრებს შორის დიდი სხვაობა არ არის. განთესვისას ორივეს თითქმის ერთნაირი უპირატესობა ენიჭება და ამ მხრივ ახალი არაფერი მიგრძვნია. ერთადერთი რეალური სიახლე კი ხალხის ჩემდამი დამოკიდებულებაა — ასეთი სითბო გულშემატკივრებისგან არასდროს მიგრძვნია. ისინი მოდიან და მეუბნებიან, რომ ისევ პირველი ნომერი ვარ, ან რომ ჩემს ადგილს მალე დავიბრუნებ, ან რომ ფარ-ხმალის დაყრა არ გავბედო — დაახლოებით ასეთი ფრაზებით მამხნევებენ, რაც ძალიან მსიამოვნებს“ — კარგ ხასიათზეა ფედერერი.

ალბათ არ ღირს ფედერერის გუშინდელ ჩოგნაობას კუდი გამოვაბათ და განვაცხადოთ, რომ ის დაბრუნდა, ისევ ფორმაშია და ასე შემდეგ. მან ხომ ჯერ მხოლოდ ერთი შეხვედრა მოიგო, ისიც კლასით აშკარად დაბალ მეტოქესთან. თუმც თავად როჯერი იმედიანადაა განწყობილი:

„კარგა ხანია, ასეთი მოტივაციით არ მითამაშია. არც სათამაშო ფორმას ვუჩივი, რის გამოც აშშ-ს ღია პირველობისა და სეზონის დარჩენილი ნაწილის უმაღლეს დონეზე ჩატარებას ვაპირებ“.

წესით, ფედერერს არც მეორე წრეში უნდა გაუჭირდეს, რადგანაც ტიაგო ალვეშის სახით კიდევ ერთი დაბალი კლასის მეტოქე ჰყავს.

წინა მიმოხილვაში როგორღაც დავიწუწუნეთ, სენსაცია თითქმის არ მომხდარაო, გუშინდელმა სათამაშო დღემ კი პირველი მოულოდნელობა შემოგვთავაზა. ვერც ამაზე ვიტყვით, არიქა, სასწაული მოხდაო, მაგრამ ყურადღებას უეჭველად იმსახურებს — წააგო მერვე ნომერმა რიშარ გასკემ. ფრანგის ცოდვა კი ტომი ჰაასმა დაიდო.

ჩვენში დარჩეს და ჰაასის მიერ „ფლეშინგ მედოუზზე“ პირველ წრეში მოგებულ მატჩზე თქვა სენსაცია იყოო, ცოტა უხერხულიცაა. ამ გერმანელს თავისი საკმაოდ ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში ხეირიანი თუ რამე უქნია, სწორედ აქ, ნიუ იორკში. მაგრამ დღევანდელი მდგომარეობით გასკე აშკარად ფავორიტად ითვლებოდა — ჯერ ერთი, თავად ფრანგიც არ გახლდათ ჯაბანი. მეორეც, გერმანელს ბოლო ერთი წლის უდიდესი ნაწილი ლაზარეთში აქვს გატარებული და ისე არც ბოლო თვეებში, კორტზე დაბრუნების შემდეგ, დაუკრეფია ვარსკვლავები. მაგრამ, როგორც ხედავთ, თავისი საყვარელი ტურნირისთვის ფორმაში ჩადგომა მაინც მოასწრო და პირველ მოულოდნელობასაც უავტორა.

**კახა ლომაშვილი**


ვინუს უილიამსი

## კაცები

### პირველი წრე

**სემ ქუერეი** (აშშ) — ტომაშ ბერდიხი (22, ჩეხეთი) 6:3 6:1 6:2; **ნიკოლა დევილდერი** (საფრანგეთი) — პაბლო ანდუხარი (ესპანეთი) 6:4 6:2 6:2; **ფლორენ სერა** (საფრანგეთი) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 7:6 6:0 2:0 უარი; **ივო კარლოვიჩი** (14, ხორვატია) — იან მინარი (ჩეხეთი) 7:5 6:1 6:4; **მარდი ფიში** (აშშ) — რობერტ სმიტსი (ავსტრალია) 7:6 6:7 6:3 6:4; **პოლ-ანრი მატიო** (24, საფრნაგეთი) — სებასტიენ გროჟანი (საფრნაგეთი) 6:7 7:6 6:3 6:2; **იენ-ჰსუნ ლუ** (ტაივანი) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 6:4 1:6 4:6 6:4 6:3; **ფაბიო ჩიპოლა** (იტალია) — იან ჰერნიხი (ჩეხეთი) 6:7 6:4 2:6 7:6 7:6; **გილერმო გარსია-ლოპესი** (ესპანეთი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 4:6 6:3 6:4 6:4; **ანდრეა სეპი** (31, იტალია) — ჰიუნგ-ტაიკ ლი (სამხრეთ კორეა) 6:3 7:5 3:6 3:6 6:3; **ივო მინარი** (ჩეხეთი) — ნიკლას კიფერი (20, გერმანია) 4:6 6:1 6:4 4:1 უარი; **იარკო ნიემინენი** (ფინეთი) — სკოვილ ჯენკინსი (აშშ) 6:3 6:3 7:5; **ბობი რეინოლდსი** (აშშ) — ტომაშ ზიბი (ჩეხეთი) 6:4 6:7 2:6 6:4 7:6; **ფერნანდო გონსალესი** (11, ჩილე) — ივან ნავარო პასტორი (ესპანეთი) 7:6 6:3 4:6 7:6; **ტომი რობრედო** (15, ესპანეთი) — მიშა ზვერევი (გერმანია) 7:6 6:2 6:1; **მარატ საფინი** (რუსეთი) — ვინსენტ სპადეა (აშშ) 3:6 6:2 6:3 4:6 6:4; **ჟილ მიულერი** (ლუქსემბურგი) — ლორენ დეკუდერი (საფრანგეთი) 6:4 6:0 4:6 6:4; **ტომი ჰაასი** (გერმანია) — რიშარ გასკე (8, საფრანგეთი) 6:7 6:4 5:7 7:5 6:2; **ფერნანდო ვერდასკო** (13, ესპანეთი) — იგორ კუნიცინი (რუსეთი) 6:3 6:4 6:1; **რუი მაჩადო** (პორტუგალია) — რიკ დე ვოესტი (სამხრეთ აფრიკა) 6:4 7:6 6:1; **ჟერემი შარდი** (საფრანგეთი) — ფედერიკო ჟილი (პორტუგალია) 3:6 6:3 6:2 6:3; **იგორ ანდრეევი** (23, რუსეთი) — მარკ ჟიკელი (საფრანგეთი) 7:6 6:4 6:4; **ტიაგო ალვეში** (ბრაზილია) — პოლ კაპდევილი (ჩილე) 4:6 1:6 6:1 7:6 6:4; **როჯერ ფედერერი** (2, შვეიცარია) — მაქსიმო გონსალესი (არგენტინა) 6:3 6:0 6:3

## ქალები

### პირველი წრე

**ანა ივანოვიჩი** (1, სერბეთი) — ვერა დუშევინა (რუსეთი) 6:1 4:6 6:4; **ჟული კოინი** (საფრანგეთი) — კეისი დელაკუა (ავსტრალია) 7:6 7:6; **კაია კანეპი** (ესტონეთი) — მონიკა ნიკულესკუ (რუმინეთი) 6:0 6:3; **ამელი მორესმო** (32, საფრანგეთი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 4:6 6:3 6:2; **ნადია პეტროვა** (19, რუსეთი) — ოლივია სანჩესი (საფრანგეთი) 6:2 6:4; **სუ-ვეი ჰსი** (ტაივანი) — ევგენია როდინა (რუსეთი) 6:2 6:4; **შუაი პენგი** (ჩინეთი) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 6:1 6:0; **ფლავია პენეტა** (16, იტალია) — სტეფანი ვოგელე (შვეიცარია) 2:6 6:2 6:2; **ანა-ლენა გრონეფელდი** (გერმანია) — დანიელა ჰანტუხოვა (11, სლოვაკეთი) 6:4 6:2; **ჯესიკა მური** (ავსტრალია) — მელანი ოუდინი (აშშ) 7:6 7:6; **ბეტანი მატეკი** (აშშ) — მარტა დომაჩოვსკა (პოლონეთი) 6:7 7:5 6:4; **ალიზ კორნე** (17, საფრანგეთი) — კამილ პინი (საფრანგეთი) 7:5 6:0; **ტიმეა ბაჩინსკი** (შვეიცარია) — ვირჟინი რაზანო (31, საფრანგეთი) 6:4 6:1; **იანგ-იან ჩანი** (ტაივანი) — ალა კუდრიავცევა (რუსეთი) 4:6 7:5 6:3; **რობერტა ვინჩი** (იტალია) — სტეფანი კოენ-ალორო (საფრანგეთი) 6:1 6:4; **დინარა საფინა** (6, რუსეთი) — კრისტი მაერიმ ანი (აშშ) 6:3 6:4; **სერენა უილიამსი** (4, აშშ) — კატერინა ბონდარენკო (უკრაინა) 6:1 6:4; **ელენა ვესნინა** (რუსეთი) — იულია ვაკულენკო (ბელარუსი) 4:6 6:1 6:2; **ოლგა გოვორცოვა** (ბელარუსი) — სანდრა ზაჰლალოვა (ჩეხეთი) 6:3 6:1; **აი სუგიამა** (30, იაპონია) — ანდრეა კლეპაჩი (სლოვენია) 4:6 6:3 4:2 უარი; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (20, ჩეხეთი) — პეტრა ცეტკოვსკა (ჩეხეთი) 6:1 6:2; **სევერინ ბრემონი** (საფრანგეთი) — ჯული გორჯესი (გერმანია) 7:6 6:4; **ტატიანა გარბინი** (იტალია) — მარეტ ანი (ესტონეთი) 6:0 7:5; **აგნეს სჟავაი** (13, უნგრეთი) — გეილ ბროდსკი (აშშ) 7:5 6:3; **აგნეშკა რადვანსკა** (9, პოლონეთი) — იაროსლავა შვედოვა (რუსეთი) 6:4 6:2; **მარიანა დუგუე მარინო** (კოლუმბია) — ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) 0:6 6:3 6:2; **იოანა რალუკა ოლარუ** (რუმინეთი) — ედინა გალოვიცი (რუმინეთი) 6:0 6:2; **დომინიკა ციბულკოვა** (18, სლოვაკეთი) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:3 7:6; **ალიონა ბონდარენკო** (27, უკრაინა) — ჯამეა ჯექსონი (აშშ) 2:6 6:3 6:2; **მარტინა ჰოზე მარტინეს სანჩესი** (ესპანეთი) — საბინე ლისიცკი (გერმანია) 6:3 6:4; **როსანა დე ლოს რიოსი** (პარაგვაი) — ჰანა შრომოვა (ჩეხეთი) 6:3 2:6 6:3; **ვინუს უილიამსი** (7, აშშ) — სამანტა სტოსური (ავსტრალია) 6:2 6:3

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

# ტოიოტა უკვე იაპონიაზე ფიქრობს



იარნო ტრული

**თუ** რომელიმე გუნდისთვის წარმატებული იყო ვალენსიაში გამართული ევროპის დიდი პრიზი, ერთ-ერთი ასეთი აუცილებლად „ტოიოტაა“, რომლის პილოტებმაც მორიგი კარგი რბოლა ჩაატარეს და ორივე მათგანმა, იარნო ტრულიმაც და ტიმო გლოკმაც ჩასათვლელი ქულები მოიპოვეა. არადა, გლოკმა სტარტი მე-13 პოზიციიდან აიღო, მაგრამ რბოლის მსვლელობისას ექვსი ადგილით წინ წაიწია და ფინიშს მეშვიდემ უწია. ტრული სულაც მეხუთე იყო და ახლა ის გენერალურ კლასიფიკაციაში მხოლოდ მოწინავე სამეულის („ფერარი“, „მაკლარენი“, „BMW-ზაუბერი“) მრბოლებს ჩამორჩება და გუნდურ ჩათვლაშიც „ტოიოტა“ ამ დიდი სამეულის შემდეგ მეოთხე ადგილზეა.

„ეს სარბოლო უიქენდი ჩვენთვის საკმაოდ ცუდად დაიწყო, მაგრამ მშვენივრად დასრულდა და ყველა ძალზე ბედნიერი ვართ — განაცხადა ტრულიმ — კარგი რბოლა იყო. მაინცდამაინც შეტევებით თავი არ მომიკლავს, მაგრამ როცა საჭირო იყო, თავქუდმოგლეჯილი მივქროდი, თუმც მუდმივ კონტროლში მქონდა მუხრუჭები და საბურავები. ჩვენი შედეგები აჩვენებს, რომ ძალიან კონკურენტუნარიანები ვართ და ამავე დროს არ შემიძლია არ ვთქვა — ჩვენი მანქანა ძალიან კარგი სატარებელია, პირდაპირ ერთი სიამოვნებაა. წლეულს „ტოიოტა“ ყოველი რბოლისას მართლაც ჩინებულ სამუშაოს ასრულებს და მუდმივი სრულყოფისკენ ვისწრაფვით. ამიტომაც, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მომდევნო რბოლებიც წარმატებული იქნება“.

თანაგუნდელს მხარი ტიმო კლოკმაც აუბა: „ბოლო რამდენიმე დღე გაციებული ვიყავი და აქედან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, რომ ეს ჩემს კარიერაში ერთ-ერთი ურთულესი, მაგრამ ამავდროულად წარმატებული რბოლა იყო. ეს ყველაფერი კი კარგი სტრატეგიის შედეგია. ძალიან კმაყოფილი ვარ. ვიყავი იმდენად სწრაფი, რამდენადაც შემეძლო და საბედნიეროდ, ეს შესაძლებლობა საკმაოდ მაღალი იყო. ორივე მანქანა საქულე ზონაში, ეს ძალიან კარგი შედეგია და გვაძლევს იმედს, რომ კონსტრუქტორთა თასზე ამ წუთისთვის მოპოვებულ მეოთხე ადგილს შევინარჩუნებთ“.

ბუნებრივია, თავისი მრბოლების კვალდაკვალ კმაყოფილი დარჩა „ტოიოტას“ შეფი ტადაში იამამოტოც. „საბოლოო ჯამში ეს სარბოლო უიქენდი ჩვენთვის მშვენიერი გამოვიდა. კვალიფიკაციის შემდეგ მთლად კმაყოფილნი არ ვიყავით, მაგრამ რბოლისას ყველაფერი გამოსწორდა — ტრული მეხუთე იყო, ხოლო გლოკმა, მიუხედავად ჯანმრთელობის პრობლემებისა, მეშვიდე შედეგი აჩვენა. ჩვენ კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ საკმაოდ სწრაფები ვართ. ასეც უნდა გავაგრძელოთ. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იაპონიის დიდი პრიზი და ყველაფერს ვილონებთ, რომ მშობლიურ ტრასაზე წარმატებით გამოვიდეთ“ — ბრძანა იამამოტომ.

**ქახა ლომაძე**

# ხარები უფსკრულში


„რედ ბულის“ შტაბი საგონებელში ჩავარდნილი

**ზედიზედ** მესამე დიდი პრიზია, „რენოს“ ძრავიანი „წითელი ხარები“, ანუ „რედ ბულის“ საჯინიბოს მრბოლ-ბოლიდები უქულოდ რჩებიან და გუნდი, რომელიც ორიოდ თვის წინ კონსტრუქტორთა თასზე მეოთხე იყო, მეექვსე ადგილზე დაქვეითდა. ყველაფერზე უარესი კი ის გახლავთ, რომ „რედ ბული“ ბოლო რბოლებში თავის უმცროს ძმასთან, „ტორო როსოსთან“ აგებს და ეს „ტორო როსო“ იგივე „წითელი ხარებია“, ოღონდაც „ფერარის“ ძრავით და გაცილებით დაბალი ბიუჯეტით.

ოთხი ეტაპის წინ „რედ ბულის“ ავსტრალიელი მრბოლი მარკ ვებერი გენერალურ კლასიფიკაციაში მეშვიდე იყო და მხოლოდ ტოპგუნდების — „ფერარის“, „მაკლარენ-მერსედესისა“ და „BMW-ზაუბერის“ პილოტებს ჩამორჩებოდა. ოთხი რბოლაა, ვებერს ერთი კინკილა ქულაც აღარ აუღია და ვალენსიაში კი ის, სულაც მე-12 იყო.

„უბრალოდ რომ ვთქვათ, საკმარისად სწრაფები არ ვიყავით. თანაც ტაქტიკური შეცდომაც დავუშვით. ვიმედოვნებდით, რომ ქალაქის ქუჩებში უსაფრთხოების მანქანა აუცილებლად გამოჩნდებოდა და მხოლოდ ერთი პიტ-სტოპი დავგეგმეთ. ასე არ მოხდა და უშანსოდ დავრჩით, თუმც მთავარი პრობლემა, მაინც არასაკმარისი სიჩქარე იყო — განაცხადა ვებერმა რბოლის შემდეგ და ორიოდე დღე რომ გავიდა, გაცილებით კრიტიკული სიტყვები თქვა — ჩვენს დონეზე აშკარად აღარ ვართ და უამრავი რამ გვაქვს მისახედი. მჯერა, რომ ძველებურ სიმაღლეზე დაბრუნება შეგვიძლია, მაგრამ ამ ეტაპზე ყველაფერი წესრიგში არ გვაქვს და ამ ყველაფრიდან როგორმე სასარგებლო დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. ზოგიერთი სპეციალისტი ამბობს, რომ ჩვენი ბოლოდროინდელი წარუმატებლობები „რენოს“ ძრავის ბრალია, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. მხოლოდ ძრავა არაფერ შუაშია. ზოგადად, ყველაფერი არასწორადაა. ჩვენ ამ წუთას უფსკრულისკენ მივექანებით და როგორმე თავის შეკავება უნდა შევძლოთ“.

**ქახა ლომაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა


მარკ უილიამსი

# განთესილების შავი დღე

## მაგუარს ტიტული არ ეთმობა

**ბელფასტში** სნუკერისტთა 2008-09 წლების სეზონის პირველი სარეიტინგო ტურნირი, ჩრდილოეთ ირლანდიის ალაფად წოდებული შეჯიბრი გახურდა და მეორე წრიდან საქმეში ელიტარული მოთამაშეები, ანუ რეიტინგის მოწინავეებიც ჩაებნენ.

ტურნირის შარშანდელმა გამარჯვებულმა, სნუკერისტთა რეიტინგის მეორე ნომერმა, შოტლანდიელმა სტივ მაგუაერმა შთამბეჭდავად დაიწყო ტიტულის დაცვა და ინგლისელ მაიკლ ჰოლტს 5:1 აჯობა, თანაც ბოლო, მეექვსე ფრეიმში დიდოსტატური, 127-ქულიანი ბრეიკი გააკეთა.

მესამე წრეში მაგუაერი თავის თანამემამულეს, ალან მაკმანუსს შეხვდება, რომელმაც 5:3 მოუგო კლასიფიკაციის მე-15 ნომერს, ინგლისელ მარკ კინგს. მაგუაერი, ალბათ, მაკმანუსის ბარიერსაც ადვილად გადალახავს და სავარაუდოდ, მეოთხედფინალშიც ადვილად იმარჯვებს, რადგანაც სატურნირო ბადის ამ ნაწილში განთესილი სნუკერისტები აღარ დარჩნენ — მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, თანამედროვეობის უდიდესი მოთამაშე, ასევე შოტლანდიელი სტივ ჰენდრი 1:5 დამარცხდა ინგლისელ სტივენ ლისთან, ხოლო კიდევ ერთი სქოთი, ასევე მსოფლიოს ექსჩემპიონი გრემ დოტი ვერას გახდა ინგლისელ დეივ ჰეროლდთან — 3:5.

სწორედ ჰეროლდსა და ლის შორის გამარჯვებულს დაუპირისპირდება მეოთხედფინალში მაგუაერმაკმანუსის წყვილში საუკეთესო და დიდი ალბათობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ოთხეულიდან წინ მაგუაერი წავა.

და, საერთოდაც — ბადის ზედა ნახევარში ჩატარებულ მეორე წრის ექვს მატჩში განთესილებიდან მხოლოდ მაგუაერმა იმარჯვა. კლასიფიკაციის მე-10 ნომერი, ავსტრალიელი ნილ რობერტსონი 2:5 დამარცხდა ინგლისელ იან მაკალოჰთან, ხოლო მსოფლიოს ინგლისელი ექსჩემპიონი პიტერ ებდონი, სულაც 0:5 განადგურდა ჩინელ ლიან ვენბოსთან შეხვედრაში. ვენბო კი ნამდვილად აღარ ხუმრობს — პირველ წრეში მრავალგზის ჩემპიონ სტივ დევისს მოუგო, ახლა ებდონს გადაუარა და დიდი შანსია, მესამე წრეში მსოფლიოს კიდევ ერთ ექსჩემპიონს, შოტლანდიელ ჯონ ჰიგინსს შეხვდეს, თუ ეს უკანასკნელი დევიდ ჯილბერტს აჯობებს.

რაც შეეხება სატურნირო ბადის ქვედა ნახევარს, იქ მეორე წრის მხოლოდ ორი მატჩი ჩატარდა და ერთი მეოთხედფინალური წყვილი შეიკრა — მსოფლიის ორგზის ჩემპიონი, უელსელი მარკ უილიამსი ტურნირის მასპინძელს, რეიტინგის მე-16 ნომერ მარკ ალენს დაუპირისპირდება. ალენმა ასევე უელსელ დომინიკ დეილს 5:4 მოუგო, ხოლო უილიამსმა იოლად, 5:2 დაჯაბნა კლასიფიკაციის მე-3 საფეხურზე მყოფი ინგლისელი შონ მერფი.


ლიან ვენბო

# ჩემპიონთა ლიგა 2008-2009
## მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

**ბატე (ბელარუსი) 1:1 ლევსკი (ბულგარეთი) (1:0)**
1:0 სოსნოვსკი (14), 1:1 გაჯევი (39)

**კაუნასი (ლიტვა) 0:2 ოლბორგი (დანია) (0:2)**
1:0, 0:2 რისგერდი (72, 89)
გაძევება: გრიგალევიჩუსი (30, კაუნასი), პილიბაიტისი (67, კაუნასი)

**დინამო (უკრაინა) 4:1 სპარტაკი (რუსეთი) (4:1)**
1:0 ალიევი (4), 2:0 ბანგურა (23), 2:1 ჯუბა (47), 3:1, 4:1 მილევსკი (48, 76)

**სტიაუა (რუმინეთი) 1:0 გალათასარაი (თურქეთი) (2:2)**
1:0 ნიკოლიტა (57)

**ფენერბაჰჩე (თურქეთი) 2:1 პარტიზანი (სერბეთი) (2:2)**
1:0 შენთურქი (28), 2:0 ალექსი (58), 2:1 ტოშიჩი (76)

**ბაზელი (შვეიცარია) 2:1 გიმარაეში (პორტუგალია) (0:0)**
1:0 სტოკერი (11), 1:1 ფაჟარდო (14პ), 2:1 დერბიოკი (54)

**ატლეტიკო (ესპანეთი) 4:0 შალკე (გერმანია) (0:1)**
1:0 აგერო (19), 2:0 ფორლანი (51), 3:0 გარსია (82), 4:0 როდრიგესი (87)
გაძევება: პანდერი (85, შალკე)

**მარსელი (საფრანგეთი) 2:1 ბრანი (ნორვეგია) (1:0)**
1:0 ნიანგი (66), 1:1 სიგუნდსენი (74), 2:1 ნიანგი (90)

**ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 1:0 ანორთოსისი (კვიპროსი) (0:3)**
1:0 ბელუჩი (53)

**სლავია (ჩეხეთი) 0:0 ფიორენტინა (იტალია) (0:2)**

**არსენალი (ინგლისი) 4:0 ტვენტე (ჰოლანდია) (2:0)**
1:0 ნასრი (27), 2:0 გალასი (52), 3:0 უოლკოტი (66), 4:0 ბენდტნერი (89)

**ლივერპული (ინგლისი) 1:0 დ.დ. სტანდარდი (ბელგია) (0:0)**
1:0 კუიტი (118)

**დინამო (ხორვატია) 1:3 შახტარი (უკრაინა) (0:2)**
0:1 ადრიანო (42), 1:1 ბალაბანი (58), 1:2 ბრანდაუ (59), 1:3 ვილიანი (70)

# ისინი ლიგაში ითამაშებენ

დღეს ნიონში, ჩვენი დროით 20 საათზე ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის წილისყრა გაიმართება, ხოლო პირველი ტურის მატჩები 16-17 სექტემბერს ჩატარდება.

| | |
|---|---|
| ინტერი (იტალია) | ბარსელონა (ესპანეთი) |
| რომა (იტალია) | იუვენტუსი (იტალია) |
| რეალი (ესპანეთი) | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ვილიარეალი (ესპანეთი) | ბატე (ბელარუსი) |
| ბაიერნი (გერმანია) | ოლბორგი (დანია) |
| ვერდერი (გერმანია) | დინამო (უკრაინა) |
| ლიონი (საფრანგეთი) | სტიაუა (რუმინეთი) |
| ბორდო (საფრანგეთი) | ფენერბაჰჩე (თურქეთი) |
| პორტუ (პორტუგალია) | ბაზელი (შვეიცარია) |
| სპორტინგი (პორტუგალია) | ატლეტიკო (ესპანეთი) |
| პსვ (ჰოლანდია) | შახტარი (უკრაინა) |
| მანჩესტერი (ინგლისი) | მარსელი (საფრანგეთი) |
| ჩელსი (ინგლისი) | ფიორენტინა (იტალია) |
| ზენიტი (რუსეთი) | ანორთოსისი (კვიპროსი) |
| სელტიკი (შოტლანდია) | არსენალი (ინგლისი) |
| კლუჟი (რუმინეთი) | ლივერპული (ინგლისი) |

### დანია
I დივიზიონი

კოლდინგი 1:3 ვიბორგი
ლოლანდი 1:2 ჰერფიოლგე
ჰვიდოვრე 3:1 ლიუნგბიუ
ფრემადი 2:2 ფრედერისია
სილკებორგი 2:0 როსკილდე
ნესტვედი 1:1 ფრემი
სკივე 1:1 ტისტედი
კიოგე 0:2 აკადემისკი

### შოტლანდია
თასი

არბროთი 2:2დ.დ. (0:2პ) ინვერნესი
ეარი 0:1 აბერდინი
ბრეჩინი 0:2 კილმარნოკი
ჰართსი 0:0 (3:4პ) ერდრი

### ფინეთი
ვეიკაუსლიგა

მარიეჰამნი 1:2 იარო

### ინგლისი
ლიგის თასი

ჰადერსფილდი 1:2 შეფილდი
ნოტინგემი 1:2 დ.დ. (1:1) სანდერლენდი
ვესტ ჰემი 4:1 დ.დ. (1:1) მაკლესფილდი
ფულემი 3:2 ლესტერი
ბლექბერნი 4:1 გრიმსბი

### ნორვეგია
I დივიზიონი

სანდეფიორდი 3:0 ოდ გრენლანდი

### შვედეთი
სუპერეტა

ანგელჰოლმი 1:0 ბრომაპოიკარნა
იორგრიტე 2:0 მიალბი

### ამხანაგური მატჩები

ირანი 1:0 აზერბაიჯანი
რეალი 5:3 სპორტინგი



„ლივერპულმა" ჩემპიონთა ლიგაში დირკ კუიტის 118-ე წუთზე გატანილი გოლით მოხვდა

კალათბურთი

# საქართველო ჩემპიონს ბურთებით ვერ შეეფარდა

**საერთაშორისო ოთხთა ტურნირი**
**ლატვია. რიგა. 25-27 აგვისტო**
**ლატვია 72:80 საქართველო**
**19:22 15:22 17:20 21:16**

**ლატვია:** იანიჩენოკსი (18), ბიედრინსი (18), უმბრაშკო (2), ჰელმანისი, ვიტოლსი (4), ბლუმსი (15), იურევიჩუსი, ვესელოვსი (2), სიპრუსი (1), ბერზინსი (12), გარბანისი

**საქართველო:** ცინცაძე (22 წუთი, 5 ქულა, 3 პასი), ელისი (30 წუთი, 10 ქულა, 3 პასი), სანიკიძე (28 წუთი, 5 ქულა, 7 მოხსნა), ცქიტიშვილი (24 წუთი, 9 ქულა, 7 მოხსნა), ფაჩულია (25 წუთი, 14 ქულა, 8 მოხსნა)

**სათადარიგონი:** ვ. ბოისა (23 წუთი, 18 ქულა), შერმადინი (7 წუთი, 3 მოხსნა, 2 დაფარება), გამყრელიძე (25 წუთი, 14 ქულა, 3 პასი), ა. ბოისა (13 წუთი, 5 ქულა), ტუღუში (2 წუთი)

საქართველოს ნაკრებმა რიგაში ლატვია დაამარცხა და იმიტომ ვერ მოიგო ტურნირი, რომ ბურთების უარესი შეფარდება ჰქონდა.

ქართველებს ძვირად დაუჯდათ ფრანგებთან 21 ქულით დამარცხება და ამის გამო ვერ იმარჯვეს ლატვიურ ტურნირზე. სამაგიეროდ, ჩვენებმა ჩეხეთი დაამარცხეს, გუშინ კი მანამდე წაუგებელ ლატვიელებსაც აჯობეს. არადა, მასპინძლებმა წინა მატჩში ფრანგებს სძლიეს 17 ქულით და ქართველებთანაც მათ მიიჩნევდნენ ფავორიტად.

ქართველებმა ძალიან ძლიერად ითამაშეს დაცვაში და წინა მატჩის მსგავსად, ამჯერადაც გუნდურად მოქმედებდნენ. არც ახლა ჰყოლია კოკოშკოვის გუნდს გამოკვეთილი ლიდერი და ბომბარდირობა სულაც სათადარიგო ვლადიმერ ბოისამ ითავა.

შეცვლაზე შესულებმა კოკოშკოვს გაუმართლეს. ერთ-ერთი საუკეთესო იყო სათადარიგო გამთამაშებელი ლაშა გამყრელიძე, რომელმაც 25 წუთი დაყო მოედანზე და 5 ცდიდან 4 სამქულიანი ჩააგდო. საერთოდაც, კოკოშკოვის შეგირდებმა 22 ცდიდან 11 სამქულიანი ჩააგდეს.

ქართველები დიდი შესვენებისას უკვე 10 ქულას იგებდნენ, მეორე ტაიმიდან კი ლატვიელები ცოტა გამოფხიზლდნენ მაგრამ ბოლოში ქართველებმა ისევ იყოჩაღეს. მასპინძელთა საუკეთესო მოთამაშე, „გოლდენ სტეიტის" ძირითადი ცენტრი ანდრეს ბიედრინსი ჩვენებმა შებოჭეს. ბიედრინსის განეიტრალებაში ყველაზე მეტად კოკოშკოვმა ნიკა ცქიტიშვილის გარჯა გამოარჩია.

ლატვიელებმა 5 წუთით ადრე სხვაობა 5 ქულამდე შეამცირეს, მაგრამ ტაირონ ელისმა და ვლადიმერ ბოისამ მასპინძელთა წელში გამტეხავი სამქულიანები მიითვალეს.

ამგვარად, ტურნირზე საქართველოს, საფრანგეთს და ლატვიას თანაბარი ქულები დაუგროვდა და საუკეთესო ურთიერთშეხვედრებში ბურთების შეფარდებით გამოვლინდა. უკეთესი მაჩვენებელი ლატვიას ჰქონდა, მეორე საფრანგეთია, მესამე კი საქართველო.

*იგორ კოკოშკოვი:* „ამ მოგებას უდიდესი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა. ახლა განსაკუთრებით უნდა მივაქციოთ ყურადღება გასვლით მატჩებს, რაკი სექტემბერში ოთხივე მატჩს სტუმრად ვთამაშობთ. ლატვიელების დამარცხება კი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მასპინძლები იყვნენ...

ბიჭებმა ახლა გაცილებით უკეთ ითამაშეს, ვიდრე ჩეხეთთან. ეს იყო ჩვენი ნაკრების საუკეთესო მატჩი, რაც უპირველესად დაცვის დამსახურებაა და რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. გუნდი სწორედ დაცვიდან იწყობა და ამ შეკრებისა და მატჩების მთავარი მიზანიც ამ კომპონენტის დახვეწა იყო.

სერიოზული წინსვლის მიუხედავად, მიღწეულით კმაყოფილები არ ვართ. ახლა მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ, რომ დარჩენილ დროში, 6 სექტემბრამდე, კიდევ უნდა გავაუმჯობესოთ თამაშის ხარისხი. ეს თუ მოვახერხეთ, მჯერა, რომ საკვალიფიკაციო ტურნირის ოთხივე გასვლით შეხვედრას მოვიგებთ".

**რამაზ ყაველაშვილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლატვია | 3 | 2 | 1 | 226:202 | 5 |
| საფრანგეთი | 3 | 2 | 1 | 246:219 | 5 |
| საქართველო | 3 | 2 | 1 | 223:230 | 5 |
| ჩეხეთი | 3 | 0 | 3 | 189:233 | 3 |


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge


სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00